კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 16 მაისი, 2004 წელი

№111 (4840)

ვიზიტი

## პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს თბილისში დაბრუნდა



**როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით რუმინეთში იმყოფებოდა. ამ დღეების მანძილზე იგი ოფიციალური ბუქარესტისგან მხარდამჭერ განცხადებებს იღებდა.** გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ნატოს სახლში გამოვიდა, სადაც წაიკითხა მოხსენება – „საქართველო და მისი ევრო-ატლანტიკური მიზნები“.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რუმინული ვიზიტის შესახებ დაწვრილებით მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

პრესკონფერენცია

## მინისტრმა უკან დაიხია

**საქართველოს განათლების მინისტრისთვის მიცემული ულტიმატუმის ვადის ამოწურვის შემდეგ „ლეიბორისტული პარტია“ ალექსანდრე ლომაიასგან ბოდიშის მოხდას და მისი თანამდებობიდან გადაყენებას აღარ ითხოვს.**

განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული დაპირისპირება სრული თანხმობით დასრულდა და მინისტრმა პრობლემა სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ სასკოლო პროგრამებიდან ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს არა თუ არ ამოიღებენ, არამედ ჰაგიოგრაფიის და საქართველოს ისტორიის სწავლება კიდევ უფრო გაძლიერდება.

რაც შეეხება სკოლებში სექსუალური აღზრდის სწავლებას, ლომაიამ პირობა დადო, რომ ამაზე საუბარიც კი აღარ იქნება.

მინისტრი მზად არის საშუალო სკოლებში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით ერთობლივი პროგრამები შემუშავდეს, რომელშიც მოსწავლეთა მშობლებთან ერთად საქართველოს საპატრიარქოც ჩაერთვება.

**ინტერ-პრესი.**

გიხაროდენ!

## დაბადებულა ბიჭი დავითიც!



ქვირფასო რედაქცია, ამ დღეებში დიდი სიხარული გვეწვია, 10 მაისს ჩემს ქალიშვილს ანეტა კაპანაძესა და სიძეს გიორგი აბესაძეს ორწლიანი ლოდინის შემდეგ, ვაჟი შეეძინათ. ისეთი ბიჭია, როგორც ანგელოზი – ლამაზი და ჯანმრთელი. ბიჭს დავითი დავარქვით.

პირველ შვილს ვულოცავ ანეტას და გიორგის, სიხარული და ბედნიერება ნუ მოაკლოთ ღმერთმა, იმრავლონ და იდღეგრძელონ.

**მარგალიტა გაფრინდაშვილი-კაპანაძე.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინდმეწარმე



ზურაბ გომურაშვილი. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

## ორდიპლომიანი მეჩექმე

### ანუ ლარი, რომელიც ზურაბ გომურაშვილს მილიონს ურჩევნია

მაქსიმუსისაგან განსხვავებით, ზურაბ გომურაშვილი არც გენერალია და არც იმპერატორთან შერკინებას აპირებს, თუმცა ყოველდღიურ პრობლემებთან ბრძოლა რაღაცნაირად კი ანათესავებს გლადიატორთან. მეცხრე საავადმყოფოს მიწისქვეშა გადასასვლელში ერთ დროს ფოტოსახელოსნო ჰქონდა და დამკვეთიც უამრავი ჰყავდა, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ფოტოალბომიც გამოსცა და მოთხრობებიც ბლომად დაახვავა. ენამოსწრებული და მხიარული კაცია. ხშირად არა, მაგრამ სამასლაათოდ ათასში ერთხელ მაინც შევუვლიდი ხოლმე. მიველი ერთხელაც. ვხედავ, გულიანად კუჭკუჭებს. არადა, მარტოა, ხმის გამცემი არავინ ჰყავს!

იხ. მე-5 გვ.

თვალსაწიერი

## ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია

**რევოლუციები იწყება და მთავრდება. ზოგი – გამარჯვებით, ზოგიც – დამარცხებით (ერთადერთი, ალბათ, ოქტომბრის რევოლუცია იყო, რომელიც მთელი 70 წლის მანძილზე არა და არ დასრულდა.**

აჭარის მაისის გამარჯვებულ რევოლუციასაც უნდა დაესვას წერტილი.

და რაც უფრო დროულად მოხდება ეს, მით უფრო სწრაფად და წარმატებით ჩადგება ამ რეგიონში ცხოვრება ნორმალურ რიტმში.

მაგრამ, ჯერჯერობით, რევოლუცია გრძელდება... „ალაფის“ განაწილების ხაზით! უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური დივიდენდების გაყოფაზეა ლაპარაკი და არა აბაშიძის კლანის უხვი დანატოვარის „ნაციონალიზაციაზე“, რაც თავისთავად სულაც არ არის უმნიშვნელო საქმე.

ეს „ნაციონალიზაცია“ მხოლოდ მატერიალურ ქონებას არ ეხება, არამედ სულიერსაც – ძაღლებს, თხებს, არწივს და ა.შ.

ერთი საინტერესო რამ მოხდა, რასაც ის რევოლუციონერებიც კი, ვისაც მრავალგზის დაუნაყეს ცხვირპირი ბათუმში, სანტიმენტალურად ყვებიან, კერძოდ – თუ როგორ „გამოაცხადა შიმშილობა“ ერთი კვირის მანძილზე ასლან აბაშიძის საყვარელმა ნაგაზმა ბასმაჩმა... აქედან თითქოს თავისთავად გამოდის დასკვნა: რაკიღა ძაღლს ასე უყვარს პატრონი, ის პატრონი რაღაცით მთლად ცუდი კაცი არ უნდა იყოს. არადა, ძაღლისა და კაცის ურთიერთსიყვარული კაცის კარგი კაცობის დასამტკიცებლად არ გამოდგება. ამის მაგალითად ადოლფ ჰიტლერისა და მისი გერმანული ნაგაზის ბლონდის ურთიერთობაც კმარა (ოღონდ, ისიც ვიცით, რომ ფიურერმა თვითმკვლელობის წინ ბლონდიც მოაწამვლინა და მისი ლეკვებიც), ერთი კია: თავისთავად, ცხოველის სიყვარული ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. ამიტომ გადააფრინეს ბასმაჩი ბათუმელმა კინოლოგებმა რუსეთის დედაქალაქში, სადაც ბათუმის ძაღლსაშენი მეურნეობის მოსკოვის ფილიალში დაიდებს ბინას.

აჭარაში პოლიტიკური დივიდენდების გაყოფა ახალ ფაზაში შევიდა – მასში აქტიურად ჩაერთო რესპუბლიკური პარტია. პარტიის ლიდერს, პარლამენტარ დავით ბერძენიშვილს, რომელიც 6 მაისის დღეებში გადაჭრით აცხადებდა, არავითარი თანამდებობა არ მსურს, ამ ამბებისადმი ოდენ პლატონური ურთიერთობა მაქვსო, უცებ ბათუმის მერობის დაუოკებელი წყურვილი აღეძრა. ბატონი დავითი ბათუმში ჩავიდა და თავის მხარდამჭერებს, რომლებიც იქ საკმაოდ არიან, სურვილი გაუმხილა.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

**Daily Mirror-მა ბოდიში მოიხადა ერაყში წამებულთა შესახებ ნაყალბევის პუბლიკაციისთვის**

**გაზეთის შაბათის ნომერი თეთრ-შავად დაბეჭდილი გამოვიდა, პირველ გვერდზე დიდი წარწერით: „გვაპატიეთ, ჩვენ თავად მოგვატყუეს“. პარასკევს საღამოს Daily Mirror-ის მთავარი რედაქტორი პირს მორგანი გადადგა.**



**ძლიერი ხანძარი ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში – დაიღუპა ერთი ადამიანი**

**ორი მანქანით მოსულ მეხანძრეებს რამდენიმე საათი დასჭირდათ ცეცხლის საბოლოოდ ჩასაქრობად. შენობა საშინლად დაზიანდა.**



**შიიტების ლიდერმა მოითხოვა იმ რუსეთელთა განთავისუფლება, რომლებიც ბაღდადთან დააკავეს**

**ეს აქცია „ზიანს აყენებს ყველა ერაყელს, რომლებიც გამოდიან რუსეთთან მეგობრული კავშირების შესანარჩუნებლად“, ნათქვამია ჯავად ალ-ხალისის განცხადებაში, რომელსაც ერაყული გაზეთი „აზ-ზამანი“ აქვეყნებს.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თვალსაწიერი

# ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია

(პირველი

ეს ამბავი, არა მგონია, დიდად გახარებოდა ბათუმის მერად დანიშნულ დემოკრატ ედვარდ სურმანიძეს, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის მერის მომავალ არჩევნებში დავით ბერძენიშვილი მისთვის ერთობ მრისხანე მეტოქე იქნება.

მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ დავით ბერძენიშვილის ეს განცხადება ედვარდ სურმანიძისთვის მოულოდნელი იყო, მან მშვიდად (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მშვიდად) აიღო ნასროლი ხელთათმანი.

პარლამენტში ერთიანი ბლოკით („ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“) გასული ორი სხვადასხვა ფრთის წარმომადგენლის მომავალი დუელი, რა თქმა უნდა, მხოლოდ სავარძლისთვის ორი კანდიდატის ბრძოლად არ აღიქმება. ბუნებრივია, უფრო სიღრმისეული, პოლიტიკური განჩხრეკის სურვილი იბადება. და თავისთავად ამოტივტივდება ვარაუდი: დემოკრატი სურმანიძისა და რესპუბლიკელი ბერძენიშვილის ქიშპობა ბლოკის შიგნით არსებული დაპირისპირების ანარეკლია, ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“ ნაკერებზე ირღვევა. მით უფრო, რომ ზვიად ძიძიგურმა უკვე გამოამჟღავნა თავისი ხალხით ცალკე ფრაქციად გამოყოფის სურვილი. ახლა, როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი პოლიტიკური მიზნები უჩნდება რესპუბლიკურ პარტიას. ერთი ვარაუდიც: ხომ არ ირეკლება ამ ქიშპში თანამდებობრივად ერთობ აღზევებული დემოკრატების დამუხრუჭების „ზეგარდმო“ ნება?

გამორიცხული არ არის, რომ რესპუბლიკური პარტია აჭარაში არჩევნების დროს ნაციონალურ მოძრაობას გამოეყოს და ცალკე იყაროს კენჭი. მით უფრო, რომ იგი აჭარის მოსახლეობაში ერთობ გავლენიანი ძალაა. ალბათ, ასე უფრო გაუიოლდება დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც კარგა ხანია დაწყებული აქვს.

აჭარის „ვარდების რევოლუციის“ ექო წყალში კენჭის ჩაგდებით ამოძრავებული წრეებივით ფართოვდება და ფართოვდება. შეშფოთება იგრძნობა სოხუმსა და ცხინვალში. მაღალი ტრიბუნებიდან მრავალგზის განცხადებული, „აჭარით საქართველოს გამთლიანება დაიწყო“, ბუნებრივია, საგანგაშოდ აღიქვეს სეპარატისტულმა რეჟიმებმა. ისინი შეაშფოთა არა ხავერდოვანი რევოლუციის აჩრდილმა (მათ კარგად იციან, რომ შინაგადატრიალების საფრთხე მათ, ჯერჯერობით მაინც, არ ემუქრებათ, რადგან მთლიანად ქართული აჭარისგან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ეთნიკური თვალსაზრისით, არსებითად განსხვავდება), არამედ აჭარის „შემომტკიცებით“ საქართველოს მომძლავრებამ, რაც არა მხოლოდ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანების გამო მოხდა, არამედ ამ ერთობის თანამდევი პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო პოტენციალის უდავო ზრდითაც.

რა თქმა უნდა, ქვეყნის დასავლეთით და ჩრდილოეთით ამ პოტენციალის დემონსტრირება უახლოეს ხანში არ უნდა მოხდეს და არც მოხდება, რადგან მას ამ დროს სოხუმისა და ცხინვალის პირისპირ კი არა, სოხუმსა და ცხინვალში მოსკოვის პირისპირ დგომა მოუწევს, ამიტომ „აფხაზეთისა და ოსეთის“ ომები სწორედ მოსკოვშია მოსაგები.

აშკარად შეინიშნება, რომ აფხაზებმა ტონი შეიცვალეს. ისინი მიხვდნენ, რომ საქართველოში მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომელთანაც შეიძლება საუბარი. აფხაზები ამჩნევენ მიხეილ სააკაშვილის ფენომენს. აფხაზები საქართველოს მიმართ რეალურები გახდნენ.

„მაისის რევოლუციის“ გამარჯვებამ, იმასთან ერთად, რომ აჭარა კვლავ დააბრუნა საქართველოს იურისდიქციაში (ნუ მივიჩნევთ ამას გაზვიადებად, ობიექტურად ეს მართლაც ასეა), ქვეყანა ახალ განდგომას აარიდა. ხომ უდავოა, რომ აჭარის სეპარატიზმი (სოხუმსა და ცხინვალზე რომ არაფერი ვთქვათ) სამცხე-ჯავახეთის, უფრო სწორად ახალქალაქ-ნინოწმინდის გარკვეული წრეების სეპარატისტულ განწყობასაც იმედით კვებავდა და ამ კუთხეს ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში აგვიფეთქებდა ის, ვინც აქამდე აგვიფეთქა სოხუმიც, ცხინვალიც და ლამის ხელიდან გამოგვაცალა აჭარაც.

„მაისის რევოლუციამ“ სამხრეთ საქართველოში შესაძლო მოვლენები ერთგვარად შეანელა, მას ზურგი დაუსუსტა, რაც, როგორც ვთქვი, ამ რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი შედეგიცაა. ოღონდ, გამორიცხული არ არის, რომ ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს, თუ ჭკუით არ მოვიქეცით. ამას წალკაში ორიოდ დღის წინათ მომხდარი ამბავიც მალაპარაკებს, თუმცა ქართველებისა და სომხების იმ ჩხუბს, შეიძლება, პოლიტიკა, მართლაც, არ კვებავდა, და ყველაფერი ყოფითი პრობლემების ბრალია. ნუ დაგვავიწყდება: „ყოფითი“ ძალზე იოლად შეიძლება აგიზგიზდეს პოლიტიკურ კოცონად, თუ სულის შემბერი ძალიან მოინდომებს.



შეიძლება ვილაპარაკოთ აჭარის მოვლენების საერთაშორისო მნიშვნელობაზეც. იზრდება უცხოელი ინვესტორების აჭარით დაინტერესება. მეორეც: არ ვიცი, სწორედ ამ ამბავმა შეაგულიანა, თუ რა იყო, მაგრამ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ამ დღეებში განაცხადა, ქვეყანა მზად არის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მომხრეა, მაგრამ თუ მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებს, აზერბაიჯანი საკუთარ მიწებს „ნებისმიერი ხერხით“ გაათავისუფლებსო.

ამ განცხადებას ბუნებრივად მოჰყვა სომხეთის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის მოსკოვში ვიზიტი. საკითხავია, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, აიტკიებს თავს ახალი სატკივრით მოსკოვი, თუ როგორც აჭარის შემთხვევის დროს, ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს, მით უფრო, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი იმდენ საერთაშორისო ბილიკს, ფარულ თუ აშკარა მდინარებასა და მეჩეჩს მოიცავს, რომ იოლი შესასვლელი და გამოსასვლელი ნამდვილად არ არის?

ერთი სიტყვით, წინ კიდევ არაერთი „ვარდების“ თუ „ეკლების“ რევოლუცია გველოდება. ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია...

**ალეკო ალანიშვილი.**

### ელექტროენერგია როდის აღდგება?

საქართველოში ელექტროენერგიის შეფერხებული მომარაგება გაგრძელდება. როგორც „ინტერ-პრესს“ „სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ განუცხადეს, „საქრუსენერგომ“ 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის „იმერეთის“ გარემონტება დაიწყო, ასევე მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „ქართლი-2“-ის რემონტზე იზრუნებს.

გადამცემ ხაზებზე მიმდინარე სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების გამო „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მაღალი ძაბვის ქსელში შეფერხებით ნაწილდება, ამიტომ ქვეყნის ორი მესამედი გამორთულია.

ელექტრომომარაგების შეზღუდვა არ შეეხებათ სამეგრელოსა და აჭარის მხარეებს.

შეზღუდვები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში გაგრძელდება.

### სპეციალური სამთავრობო კომისია

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სტრატეგიული დანიშნულების მილსადენების უსაფრთხოებას სპეციალური სამთავრობო კომისია უზრუნველყოფს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 14-კაციანი სამთავრობო კომისია შეიქმნა, რომელსაც ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი



ხელმძღვანელობს. კომისიაში ასევე ნიკოლოზ ვაშაკიძე, ზურაბ ადეიშვილი, გიორგი ბარამიძე, გელა ბეჟუაშვილი, ვახტანგ გოლიაძე, თამარ ლებანიძე, ზურაბ მელიქიშვილი, იოსებ მაზმიშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, მიხეილ ქარელი, ოთარ ქველიძე, ბათუ ქუთელია და ლერი ჭითანავა შედიან.

ბრძანებულების მიხედვით, ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სტრატეგიული დანიშნულების მილსადენების ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, ურთიერთგაცვლა და შესაბამისი ოპერატიული მომსახურების განხორციელება.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

### ჰოლანდიური ავტობუსები თბილისში

დედაქალაქში, გლდანის დასახლებიდან ქალაქის ცენტრის მიმართულებით ორი ახალი, ჰოლანდიური ავტობუსი ივლის.

ჰოლანდიური ავტობუსების პრეზენტაცია ქალაქის ახალმა მთავრობამ, თბილისის მერიის წინ მოაწყო. ქალაქის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის განცხადებით, ერთი ავტობუსი ჰოლანდიურმა მხარემ საქართველოს საჩუქრად გადასცა, ხოლო მეორე – 8500 ევროდ შეიძინეს.

მისი თქმით, დედაქალაქის მთავრობა გეგმავს უახლოეს მომავალში კიდევ 150 ახალი ავტობუსი ჩამოიყვანოს, რომელიც სამარშრუტო ხაზებს ჩაენაცვლება.

როგორც „ინტერ-პრესს“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ჩიკვილაძემ განუცხადა, ერთი ავტობუსის ღირებულება 11 ათასი ევრო იყო, თუმცა ჰოლანდიის მხარე წავიდა დათმობაზე და ავტობუსების ღირებულების 30 პროცენტს თვითონ დაფარავს, 70-ს კი ქართული მხარე გადაიხდის. ამ თანხის დაფარვა თბილისის მთავრობას ლიზინგის სახით სამი წლის განმავლობაში შეეძლება.

**ინფორმაცია მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## ქველმოქმედება

# საჩუქრად წალკელ მოსწავლეებს

ამ ცოტა ხნის წინათ წალკის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა საჩუქრები მიიღეს კომპანია „ამეკსპი პეტროფაკის“ მუშაკის, საზოგადოებრიობასთან კავშირურთიერთობის ოფიცრის გოჩა მღებრიშვილისგან, რომელმაც საკუთარი სახსრებით გადასცა მოსწავლეებს სასკოლო ნივთები (წიგნები, რვეულები, კალმისტრები, ფანქრები, სახაზავები, ცარცი, დაფები და მრავალი სხვა).

წალკის ქართული საშუალო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ც. ხვინთელანმა, ყიზილქილისის სომხური საშუალო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ე. გულიკიანმა, დარაქოვის საშუალო სკოლის დირექტორმა ს. ალაჯანიანმა, მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და მშობლებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ბატონ გოჩას ამ მძიმე პერიოდში გამოჩენილი ყურადღებისა და ზრუნვისთვის, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სასკოლო სახელმძღვანელო ძალზე ძვირიც ღირს და ძნელი საშოვნელიც არის.

თავის მხრივ, გოჩა მღებრიშვილმა განაცხადა, რომ შემდგომშიც არ მოაკლებს ყურადღებას ბავშვებს, განსაკუთრებით კი ობოლთ და გაჭირვებულთ.

მადლობას ვუხდით ბატონ გოჩას.

**ვარდო ეგოიანი,**
**წალკის რაიონის გამგებლის მოადგილე.**





გოჩა მღებრიშვილი საჩუქრებს გადასცემს წალკის ქართულ და ყიზილქილისის სომხურ საშუალო სკოლებს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გზად სოხუმისკენ

# „ჩვენ სასწორის მეორე პინა უნდა ვიყოთ“

### გვესაუბრება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია





**როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთთან დაკავშირებით ერთგვარ მორატორიუმს აცხადებს და იქ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე კონფლიქტის მოგვარების კონკრეტული გეგმის წარმოდგენას არ იჩქარებს. აფხაზეთში პოსტარძინბასეული პერიოდის დადგომის შემდეგ კი ოფიციალური თბილისი კონფლიქტის მოგვარების პროცესში გარდატეხას შეიტანს. კულუარული ინფორმაციით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თანაგუნდელებს აფხაზეთის დაბრუნებისთვის საქმიანობის გააქტიურებაზე ელაპარაკა. ხელისუფლების მიერ განსაზღვრული აფხაზეთის დაბრუნების სტრატეგია, ალბათ, უახლოეს მომავალში გაცხადდება.**

**საინტერესოა, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადება „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აჭარიდან დაწყების“ თაობაზე სოხუმის ხელისუფლება შეშფოთებით შეხვდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში იატაკქვეშეთიდან გამოდის სახალხო მოძრაობა „ქართველ ძმებთან შერიგების დროა“. მათ ამ დღეებში სოხუმში საპროტესტო აქცია გამართეს. „მიშა შეგვარიგე!“ – ამ ლოზუნგით აქციის მონაწილეებმა საქართველოს პრეზიდენტს მიმართეს. თვითგამოცხადებული სახელმწიფოს ხელიმძღვანელობა ამ ფაქტს უარყოფს, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ისმება კითხვა, თუ შესაძლებელი გახდა ვარდების რევოლუციის ექსპორტი თბილისიდან ბათუმში, ხომ არ გადავინაცვლებთ იქიდან სოხუმსა და ცხინვალში?**

**უნდა ითქვას, რომ რუსეთის როლი და დახმარება აჭარის პრობლემის მოგვარებაში ორი ქვეყნის მომავალ ურთიერთობებზე კარგ გავლენას მოახდენს. ეს კი აფხაზეთთან მიმართებაში სასიკეთო პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი აფხაზეთის პროცესში მონაწილეობს, როგორც ერთ-ერთი მთავარი მხარე. ახლახან რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა შეთანხმებას მიაღწიეს. უნდა გააქტიურდეს სამმხრივი ჯგუფების მუშაობა აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების, სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის და ენგურჰესის მოდერნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. აჭარის კონფლიქტს კი რუსეთი თავიდანვე საქართველოს საშინაო საქმედ განიხილავდა. აჭარის გარშემო შექმნილი რთული ვითარების გამო ქართულ მხარესთან რუსეთის კონტაქტი და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოსკოვისა და თბილისის შეთანხმებებს ეფუძნებოდა. მოხდება თუ არა იგივე აფხაზეთთან მიმართებაში, ამას დრო გვიჩვენებს.**

**ამასობაში კი, მოგეხსენებათ, საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტში მომწიფდა აზრი აფხაზეთის დეპუტაციის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ასეთი გადაწყვეტილება საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებმა ოთხსაათიანი მსჯელობის შემდეგ მიიღეს. ცხადია, ამ საკითხზე საზოგადოების, მათ შორის კანონმდებელთა, აზრი იყოფა. საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ან გაგრძელების საკითხს ორი მხარე აქვს – სამართლებრივი და პოლიტიკური. საკითხს თუ წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით მივუდგებით, უფლებამოსილების გაგრძელება კონსტიტუციის დარღვევაა, მაგრამ პოლიტიკური მხარეც ძალიან მნიშვნელოვანია. კერძოდ ის, რომ დეპუტაცია დევნილების აფხაზეთში დაბრუნების საკითხზე მუშაობს და არჩევნების მხოლოდ დევნილებისთვის ჩატარება აფხაზეთის გარეთ დაუშვებელია. ამასთან, მსოფლიოს საზოგადოების, ვინც აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესშია ჩართული, ცნობიერებაში ზის, რომ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია აფხაზეთის ლეგიტიმური დეპუტაცია და მათ ეს ნორმალურად მიაჩნიათ. საინტერესოა, ამ ფონზე რატომ გახდა სწორედ დღეს აფხაზეთის დეპუტაციის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი აქტუალური? არის აზრი, რომ პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილება არის პოლიტიკური ნაბიჯი. ამით აფხაზებს ეუბნებიან, – პირველ ნაბიჯს ვდგამთ იმისთვის, რომ ხვალ დიალოგზე წამოხვიდეთო.**

**იმის იმედი, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი ქართული მხარისთვის კონსტრუქციული პარტნიორი იქნება, პოლიტიკურ წრეებში ცოტა ვინმეს თუ აქვს. და მაინც, არსებობს თუ არა იმის საფუძველი ვიფიქროთ, რომ არძინბას შემცვლელი ათწლეულის განმავლობაში გაყინული კონფლიქტის გალღობის პროცესში პოზიტიურ დინამიკას შეიტანს? ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია.**

– ჩვენ თვალს ვადევნებთ პროცესებს, რომელიც ენგურსგაღმა მიმდინარეობს. იგი საკმაოდ საინტერესოა ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის, მასმედია გარკვეულ ინტერესს იჩენს ამ საკითხებისადმი. რასაკვირველია, ენგურსგაღმა გვაქვს გარკვეული კონტაქტები. ომის შემდგომ პერიოდში ეს კონტაქტები მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვითარდებოდა. უფრო მეტად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ უარი თქვა იმ ძალისმიერი მეთოდით აფხაზეთის დაბრუნებაზე, რასაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, მე ხაზს ვუსვამ, არა მარტო თამაზ ნადარეიშვილი, წარუდგენდა ხოლმე საზოგადოებას.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა რიცხვი იმდენად დიდია, ძნელი სათქმელია, ვინ იქნება არძინბას შემცვლელი. ბუნებრივია, იქნება ის, ვისზედაც აქცენტს რუსული მხარე გააკეთებს. პრაქტიკულად დღეს იმ პროცესებს რუსული პოლიტიკური ინტერესები წარმართავს. კარგი იქნება, აფხაზურმა საზოგადოებამ საკუთარი ინტერესებიდან, რომელიც, სასურველია, ჩვენს ინტერესებს თანხვდებოდეს, გამოკვეთოს საკუთარი პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში მას დაუპირისპირდეს. ვფიქრობ, იქ ასეთი შესაძლებლობები ნაკლებად არის. ჩემი აზრით, ამ თვითგამოცხადებულ სახელმწიფოში პრეზიდენტად, ალბათ, ის პირი მოვა, რომელიც პრაქტიკულად აფხაზეთში რუსული ინტერესების წარმომადგენელი იქნება.

***– ბატონო თემურ, მართალია, შემოდგომამდე ხელისუფლებამ აფხაზეთთან დაკავშირებით ტაიმაუტი აიღო, მაგრამ მოლაპარაკებათა პროცესს მაინც აგრძელებს. ამას წინათ მოსკოვში ქართულ-აფხაზურ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი ეტაპი დაიწყო. კონსულტაციების თემა უცვლელია – გასული წლის გაზაფხულზე სოჭში მიღწეული შეთანხმებების განხორციელების პერსპექტივა. ძველ და ახალ სიტუაციებს ის განასხვავებს, რომ პირველად მოლაპარაკებების ამ გაუთავებელ პროცესში საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას კონსტრუქციული საუბრისათვის აფხაზური მხარე გარკვეული სიმპათიებით მოიხსენიებს.***

– საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენლებმა, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ, განაცხადეს იმ პოლიტიკური კურსის თაობაზე, რომელიც გახლეჩილი საზოგადოების მეორე მხარესთან დიალოგს ითვალისწინებს. მოსკოვისა და ქვენევის შეხვედრებზე ამ მიმართებით გარკვეული დაახლოება მოხდა. გამოიკვეთა, რომ კონფლიქტის მოწესრიგებას საფუძვლად არავითარ შემთხვევაში ძალისმიერი მეთოდები არ დაედება. სამწუხაროა, რომ აფხაზეთის დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები ამ პროცესებში არ მონაწილეობენ. პრაქტიკულად ყველა დოკუმენტში მითითებულია, რომ კონფლიქტი იყო აფხაზეთში. თავისთავად ცხადია,

იხ. მე-4 გვ.

## მხარე

# და ისევ გაცოცხლდა მისუსტებული იმედი

### კახეთის პოლიტიკური შუქ-ჩრდილები

„ვარდების რევოლუციიდან“ ხუთი თვის თავზე უკვე დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ კახეთში სასიკეთო ძვრები არა მხოლოდ შეინიშნება, ყოველდღიური ცხოვრების ნორმადაც კი იქცა და ყოველი ახალი დღე ახალი წარმატებებით იწყება, კახეთის მოსახლეობა უკვე დარწმუნდა, რომ მხარეში ქვეყნის ერთგული, საქმიანი და სამართლიანი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

25 თებერვალს, მხარეში განხორციელებული უკანასკნელი საკადრო ცვლილების შემდეგ, სწორედ იმ მოვლენების განვითარება დაიწყო, რასაც ხალხს ჰპირდებოდნენ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერები: თანამდებობებიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლდნენ კორუმპირებული ჩინოვნიკები (ძველი ხელისუფლების ვითომდა გარდაქმნილი, სინამდვილეში კი შენიღბული ნარჩენები). დაუყოვნებლივ ამუშავდა მოქალაქეთა სოციალური დაცვის და თანადგომის მექანიზმები და მკაცრი კონტროლი დაწესდა სახელმწიფო ორგანოების ყოველგვარ ქმედებაზე. კონტროლს დაექვემდებარა ასევე ბიზნესი და მუდმივად დამალული გადასახადები მობილიზებულ იქნა ბიუჯეტის სასარგებლოდ. რამდენიმე კვირაში აქამდე წარმოუდგენელი სისწრაფით გაიცა პენსიები, ხელფასები, დავალიანებები, უმწეო ადამიანთა დახმარებები.

და ისევ გაცოცხლდა მისუსტებული იმედი!

სწორედ ამიტომ 28 მარტის არჩევნები მხარეში სახელისუფლებო ბლოკის სრული წარმატებით წარიმართა და „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებმა“ საბოლოო მონაცემების მიხედვით 80 პროცენტზე მეტი მოაგროვეს.

მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ზამთარში, მხარეში მართლაც იყო იმის საშიშროება, რომ პრეზიდენტის პარტიას საპარლამენტო არჩევნებში სრული კრახი თუ არა, ხმების სერიოზული დანაკარგი მაინც განეცადა. ამან, როგორც ჩანს, გამარჯვების გარკვეული ილუზია შეუქმნა იმ მეზღაპრე პოლიტიკოსებს, რომელთაც წინა ხელისუფლებასთან წლების მანძილზე განხორციელებული ვაჭრული გარიგებების და თვითშეთხზული საკუთარი პრესტიჟული პრიორიტეტების წყალობით, არაერთხელ დაუბევებიათ (ბევრჯერ თვით საარჩევნო ფორმალობამდეც) სადეპუტატო მანდატები.

საშიშროება კი, ისევე როგორც 13 წლის წინათ ზვიად გამსახურდიას ზეობისას, ხელისუფლებიდან ხალხის ნებით განდევნილმა და მათი ჩვეულებისამებრ მხოლოდღა მაშინ გახალხოსნებულმა კომუნისტურმა კლანებმა, რომელნიც ხალხის დათრგუნვის და ერთმანეთზე წაკიდების კლასიკოსები ბრძანდებიან, ახლაც ხელოვნურად შექმნეს და საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით შესული „ვარდების რევოლუციის“ მონაპოვარზე, ზოგიერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოსტზე ხელმძღვანელ პირებად თავიანთი ერთგული, შენიღბული ჩინოვნიკები შეაპარეს. მათი მიზანი და საზრუნავი ხალხის იმ დონეზე მიყვანა იყო, რომ თითოეულ მათგანს უწინდელი რეჟიმი სააკაშვილის მმართველობაზე უკეთესად მოსჩვენებოდა და როდესაც პროფესიონალი პროვოკატორები გაფიცვებისა და გამოსვლების გზით სახალხო მთავრობას დაუპირისპირდნენ, მოტყუებული ხალხი მათი მომხრე თუ არა, მოვლენათა შორიდან მაცქერალი მაინც ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ უბანზე მათ ამ ბოროტგანზრახვას მართლაც ჩაუყარეს მყარი საძირკველი.

მოვიყვან რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს:

ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურში, მოსახლეობამ ელექტროენერგიის მოთხოვნით გზა გადაკეტა და ხმაურიანი, მაგრამ უწყინარი აქცია წამოიწყო. ისინი დღის საათებში ხუთი-ექვსი საათით ელექტროენერგიის მიწოდებას ითხოვდნენ. პასუხად სრული სამი დღე-ღამით აბსოლუტური უშუქობა მიიღეს. მოსახლეობა ბუნებრივია აღშფოთდა და იმავე წამს წინასწარ მომზადებულმა „ხალხოსნებმაც“ დასჭექეს: „შევარდნაძის დროს მიხვიდოდი? – მოგისმენდნენ. გაიფიცებოდი? – თავზე ხელს გადაგისვამდნენ! მოგეფერებოდნენ, დაგაიმედებდნენ, დიდი ხნით თუ ვერა, ცოტათი მაინც აგისრულებდნენ რაც გსურდა. ახლა რა გვეშველება? ეს ვის ხელში ჩავიგდეთ იდიოტი თავიო!“

მეორე შემთხვევა თელავში დეკემბერ-იანვარში მოხდა. მაშინ როდესაც ყოველი ადამიანი მოუთმენლად ელის ხელფასს, რომ ახალი წელი რაც შეიძლება მეტად გაილამაზოს და ამ დროს იყო ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელებიც უკვე მათ ანგარიშებზე

იხ. მე-4 გვ.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მხარე

# და ისევ გაცოცხლდა მისუსტებული იმედი

(მესამე გვერდიდან)

ჩარიცხულ თანხებს თანამშრომლებს უმალავდნენ და კვირების მანძილზე ყალბი მოლოდინით სტანჯავდნენ, პარალელურად კი ვითომ ისე, შემთხვევით დააყოლებდნენ ხოლმე, „რა გიყოთ აბა, შევარდნაძის დროს საახალწლოდ საჩუქრებსაც გაძლევდით. არ გინდოდათ და რა ვქნათ? ამათ კიდევ, რაც არ შეუძლიათ, რა გააკეთონო“.

ესეც თელავის რაიონში მოხდა, მკვლელების ქმედებით აღშფოთებულმა სოფელმა რაიონის შესასვლელში გზა გადაკეტა და დამნაშავეთა დაუყოვნებლივ შეპყრობა მოითხოვა. პასუხი აქაც აბსოლუტურად მოულოდნელი მიიღეს, მხარის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა თანაგრძნობის ნაცვლად, ლანძღვაგინება და მუქარა შეაგება ხალხს და ისევ იფეთქა ნაცნობმა ფრაზამ „თქვენ ისე იზამთ, შევარდნაძეს მოგვანატრებთო!“

პოლიციის რაიგანყოფილების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნამდვილად უმტკივნეულოდ განმუხტა ფრიად დაძაბული სიტუაცია, ხოლო მოგვიანებით მოქალაქეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაც ღირსეულად შეძლო, მაგრამ ეს მოგვიანებით, პეტრე ცისკარიშვილის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მოხდა. და, რაღა თქმა უნდა, მაშინდელი პოლიტიკური სპექტრისთვის არანაირ შეღავათს არ წარმოადგენდა.

მით უმეტეს, რომ იმ გაფიცვებიდან ორიოდ დღეში ლამის უარესი მოვლენების განვითარებასაც კი დაედო სათავე. 20 თებერვალს თელავში გამგეობის ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში, ჩინოვნიკების უსულგულობით გამწარებულმა ერთმა მოქალაქემ შიმშილობის გამოცხადება სცადა. მას მაშინ ამის საშუალება არ მისცეს, მაგრამ, რომ არა 25 თებერვლის უმნიშვნელოვანესი საკადრო ცვლილებები, „ვარდების რევოლუციის“ გმირების დამსახურებით ფეხზე დამდგარი კახელები 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში ნამდვილად სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდნენ სახელისუფლებო პარტიის გამარჯვებას.

კახეთში პეტრე ცისკარიშვილის გუბერნატორად დანიშვნისთანავე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა,



უპასუხისმგებლო, უგულო და უუნარო თანამდებობის პირები ჩაილურის წყალს გააყოლეს და ისინი იმ ადამიანებით შეცვალეს, რომლებიც მოქალაქეთა ინტერესებისათვის ზრუნვას და საზოგადოების სასარგებლო კურსის გატარებას შესძლებდნენ (მართალია, თანამდებობა რამდენიმე კარგი რეპუტაციის მქონე ადამიანმაც დატოვა, მაგრამ მათი გადადგომა პირადი განცხადების საფუძველზე მოხდა და ამას საზოგადოების მხრიდან უარყოფითი რეზონანსი არ მოჰყოლია).

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი და მისი მოადგილეები: დავით ადეიშვილი, კახა გემაზაშვილი, გელა აზიკური და თემურ ლამაზოშვილი თავად არიან კაცთმოყვარეობის, პატიოსნების და სამართლიანობის მაგალითის მომცემი, და მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე შესანიშნავი ურთიერთობა დაამყარეს როგორც თანამშრომლებთან, ასევე დანარჩენ მოსახლეობასთან და ბევრი უსაფუძვლოდ განაწყენებული ადამიანის გულიც მოიგეს.

იმ ორი თვის მანძილზე, რაც პეტრე ცისკარიშვილი კახეთს მართავს, გაგვიჭირდება ისეთი დღეების გახსენება, სხვადასხვა რაიონის მოსახლეობას რომ არ შეხვედროდეს. ხოლო შემდეგ, შეხვედრებიდან სამუშაო კაბინეტში დაბრუნებულს, ბევრჯერ შუაღამემდეც გაუგრძელებია მუშაობა და მოქალაქეთა მიღება.

ქვეყნის, პრეზიდენტის და უბრალო ადამიანების სამსახურით კახეთის მმართველმა ახალმა გუნდმა მოკლე დროში დაამტკიცა, რომ ისინი მხარის ღირსეული პატრონები და პატიოსანი ადამიანები არიან.

ხალხის თვალს არაფერი გამოეპარება და ამიტომაც მოსახლეობამ არჩევნებში ამჯერადაც სრული თანადგომა გამოუცხადა ხელისუფლებას.

რაც შეეხება იმ ერთადერთ შესამჩნევ კანონდარღვევას, ლაგოდეხის საარჩევნო უბანზე რომ დადასტურდა, დაკვირვებულ ადამიანს არ გაუჭირდება მასში იმ „ხალხოსნების“ ხელწერის ამოცნობა, რომლებიც თებერვლის მარცხის შემდეგ, ხელსაყრელი დროის დადგომამდე, თავზარდაცემული შეიმალნენ იატაკქვეშეთში.

განა სასაცილო არ არის იმის მტკიცება, რომ აბსოლუტური უპირატესობის მფლობელი პარტია 40-50 ყალბი ბიულეტენით ცდილობდეს საარჩევნო მაჩვენებლების გაზრდას?

ლაგოდეხის შემთხვევა წმინდა წყლის პროვოკაციაა. მოქალაქე, რომელიც იქნებ იმის საქმის კურსშიც არ იყო, თუ ვინ და რისთვის იყენებდა მას, თავიდანვე გაყალბების ფაქტზე დასაჭერად იყო განწირული, რათა ოპოზიციას (როგორც ეს მართლა მოხდა) ზარ-ზეიმით აეტაცა ნაციონალების „მამხილებელი“ დარღვევები და ამით თავის უსუსურობა ოდნავ მაინც გაემართლებინა.

დღეს ქალაქებსა და მხარეებში, სავარძლებს მიღმა დარჩენილი ის პარტიები, რომლებიც მთავრობათა ცვლის დროს განაბული ელიან მოწყალებას და თუ ხელმოცარული აღმოჩნდნენ, უმალვე დაჩაგრულთა მზრუნველებად მოგვევლინებიან ხოლმე, ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანდებიან. ბუნებრივია, ისინი თითო-ოროლა განაწყენებულ ადამიანს კახეთშიც მონახავენ და აქაც შეეცდებიან ოპოზიციური მოძრაობის განვითარებას.

მაგრამ ახლავე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამ შემთხვევაში მათი ცდა უსუსური იქნება. კახეთის მმართველი გუნდისადმი მოსახლეობის მხარდაჭერა ყოველდღიურად უფრო და უფრო იზრდება და ერთსულოვანი ხდება. კახელები ხომ ის ხალხია, დაპირებულზე მეტად შესრულებულს რომ აფასებს. შესრულებული კი მხარეში უკანასკნელ ორ თვეში ნამდვილად არ არის ცოტა.

აი ზოგი რამ: რაიონების ბიუჯეტებიდან გამოიყო სახსრები უმწეო ადამიანთა დასახმარებლად; უფასოდ ჩატარდა ზოგიერთი გადაუდებელი სამედიცინო ოპერაცია, დაწესდა ყოველთვიურად მსგავსი ღონისძიებები; მარტოხელა ადამიანებს დაურიგდათ ფქვილი, სურსათი და სხვა საჩუქრები; ჯანმრთელობის, ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა ადგილზე შეისწავლეს სათანადო ობიექტები და დაუყოვნებლივ შეუდგნენ სერიოზული პროგრამების განხორციელებას; მასობრივად დაიწყო მრავალსართულიანი სახლების სახურავების აღდგენითი სამუშაოები; განახლდა გზები; გადაიჭრა ელექტროენერგიის პრობლემა და აღდგა გარეგანათების გაყვანილობები; დაიწყო ქარხნების და მრავალი საწარმოო ობიექტის კაპიტალური შეკეთება; გაფორმდა ხელშეკრულებები პოლონეთსა და საფრანგეთთან ეკონომიკური პროგრამების განსახორციელებლად; ზაფხულში პოლონეთში დასასვენებლად უფასოდ გაიგზავნება ოცამდე ხელმოკლე ოჯახის ბავშვი; მთლიანად ახლდება სასტუმრო „თელავი“ და თელავის სტადიონის ტრიბუნები.

და, რაც მთავარია, საქმდებიან პატიოსანი, მშრომელი ადამიანები!

არადა, ნოემბრის „ვარდების რევოლუციიდან“ ჯერ სრული ექვსი თვეც არ გასულა!..

**ზაზა გურგუჩიანი,**
**„სრ“ საკ. კორ.**

## გზად სოხუმისკენ

# „ჩვენ სასწორის მეორე პინა უნდა ვიყოთ“

(მესამე გვერდიდან)

თუკი კონფლიქტი აფხაზეთში იყო, მაშინ კონფლიქტის მონაწილე მხარეები არიან აფხაზეთის მკვიდრნი. თუკი მოლაპარაკებათა პროცესში ერთი ნაწილია წარმოდგენილი, რატომ არ უნდა იყოს მეორე ნაწილი? მე არა მაქვს მხედველობაში, რომ ჩვენ შესაძლებელია სასწორის მეორე პინა ვიყოთ. შეგვიძლია, სიტუაცია დავაბალანსოთ და სხვა. აქ უბრალოდ, ჩვენს პოლიტიკურ უფლებებზეა საუბარი. როგორც ჩანს, ეს ხელს აძლევდა წინა ხელისუფლებას. არა მგონია ხელს აძლევდეს ამჟამინდელ ხელისუფლებას, მით უმეტეს, დევნილ საზოგადოებას. ჩვენი პოლიტიკური წინააღმდეგობები ხაზს უსვამენ, თითქოს ჩვენ ვართ დესტრუქციული ძალა და ჩვენში პოზიტიური რესურსი არ არსებობს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩვენს სახელისუფლებო სტრუქტურებში, სწორედ რომ, პოზიტიური რესურსი, ინტერესთა ის წყება არსებობს, რომელთა შეჯერებითაც შესაძლებელი იქნება ორ გახლეჩილ საზოგადოებას შორის პოზიციების დაახლოება. მაქსიმალურად ვეცდები ასეთ შეხვედრებში ჩვენს იგნორირებას წინააღმდეგობა გავუწიო. მე ამას არ შევურიგდები.

***— ბატონო თემურ, თქვენ ეროვნული მოძრაობიდან მოდიხართ, სხვადასხვა დროს იყავით ჰელსინკის კავშირის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, წმინდა ილია მართლის საზოგადოების რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, „მრგვალი მაგიდის“ წევრი. ამჟამად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ხართ. აფხაზეთში მიტინგებს აწყობდით, აქტიურობდით. მერე კი კარგა ხანს არ ჩანდით.***

— სახიერ პოლიტიკურ პერსონას მე თავისთავად არ წარმოვადგენ, მაგრამ გარკვეული პიროვნული ისტორიის მატარებელი ვარ.

1976 წელს, მას შემდეგ, რაც ბრეჟნევი აიძულეს ხელი მოეწერა ჰელსინკის ხელშეკრულებაზე, სადაც უპირველესი ნიშნით იყო გამოკვეთილი ადამიანის უფლებები, ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები პოსტსაბჭოურ სივრცეში — ყველგან ჩამოყალიბდა. საქართველოში მას სათავეში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ვიქტორ რცხილაძე ჩაუდგნენ. ამ ჯგუფის მხარდამჭერი გარკვეული წარმომადგენლობები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, მათ შორის, სოხუმშიც შეიქმნა. მთელი ეს პერიოდი, ჩემი სტუდენტობის პერიოდი, შეიძლება ითქვას, რომ დისიდენტური ცნობიერების ნიშნით წარიმართა.

მე ვიყავი ერთ-ერთი ორგანიზატორი 1980 წლის მაისის მიტინგისა, რომელიც სოხუმის დრამატული თეატრის წინ ჩატარდა. მაშინ ჩვენ იქ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ პირველად ვილაპარაკეთ. ილია ჭავაჭავაძის საზოგადოება იმხანად საქართველოში პირველი არაფორმალური ორგანიზაცია იყო, რომლის ლიდერებიც ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. ეს იყო პერესტროიკის პერიოდი. იმ დროისათვის ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში განხეთქილება მოხდა. ზვიად გამსახურდიას თხოვნით



აფხაზეთში წმინდა ილია მართლის საზოგადოება ჩამოვაყალიბე. ჩვენ პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ სუბიექტი ვიყავით. სწორედ ამ პოლიტიკური გაერთიანების სიით საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი გავხდი, ასეთი სახელწოდებით არსებობდა მაშინ საქართველოს პარლამენტი. შემდეგ მოხდა სამხედრო გადატრიალება. ეს იყო, ალბათ, ყველაზე არასახიერი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. აზრი არ ჰქონდა აქტიურობას, ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად მე დავუპირისპირდებოდი იმ ძალებს, რომელიც იმ პერიოდში მმართველი იყო არა მარტო სახელისუფლებო სფეროში, თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც კი. ამიტომ როგორც კი ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდა, მეც მეტნაკლებად გამოვჩნდი.

***— ბატონო თემურ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ თქვენს დანიშვნას დევნილების გარკვეული ნაწილი მოწონებით შეხვდა — სოხუმელიაო. „სოხუმელობას“ ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა ჰქონდა?***

— სოხუმში არსებობდა რაღაც ისეთი, რასაც არასოხუმელებიც გრძნობდნენ. ეს იყო ურთიერთობების განსაკუთრებული წესი — დახვეწილი ურთიერთობები, რომელიც ზნეობრივი პოზიციებიდან მომდინარეობდა. არადა, იქ, სადაც მაღალი ხარისხის ზნეობრიობა და მორალია, კარიერული მისწრაფებებისადმი ადგილი ნაკლებად რჩება. წინა პლანზე უფრო რაინდული თვისებები წამოიწევა ხოლმე. სოხუმისთვის ეს დამახასიათებელი იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ტრაიბალისტური მისწრაფებები, რაც პრაქტიკულად მიუღებელია, მაგრამ რაკიღა არსებობს, რაკიღა ცნობიერებაში დასადგურებულია ეს მისწრაფებები, მას ანგარიში უნდა გაეწიოს.

მე დღეს რეალურად ვხვდები ასეთი სახის სულისკვეთებას, რომ გალს საკუთარი ადგილი უნდა ჰქონდეს სახელისუფლებო წარმომადგენლობაში, ასევე, უნდა ჰქონდეს ოჩამჩირეს, გაგრასაც თავისი მოთხოვნები აქვს, ისე როგორც ყველა იმ რეგიონს, რითაც დღეს აფხაზეთია წარმოდგენილი. ვინაიდან ეს სულისკვეთება არსებობს საზოგადოებაში, რაღაც გარკვეული დოზით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. რამდენად მეორეხარისხოვანი გახდება ეს მისწრაფება მომავლისთვის, სხვა საკითხია, მაგრამ ამ ეტაპზე იგი ნამდვილად არსებობს და ამდენად, გასათვალისწინებელია. ასე რომ, არც „სოხუმელობამ“ უნდა გააღიზიანოს ვინმე. სოხუმში, როგორც ავტონომიის დედაქალაქში, ნებისმიერი ინტელექტუალური, პროფესიული შესაძლებლობების აკუმულირება ხდებოდა. ფაქტია, რომ მსოფლიოში ასეთი ტენდენცია არსებობს და რაღა ჩვენთვის არის მიუღებელი? სამწუხაროა, რომ საზოგადოება ნაკლებ ყურადღებას აქცევს პიროვნულ მომენტს, მის ღირსებებს და უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის რეგიონულ წარმომავლობას და ა. შ. არა მგონია, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მთავარია საქმის კეთება!

ესაუბრა
**მზია გელენავა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ინდმეწარმე

(პირველი გვერდიდან)

— რა იყო, რა გაცინებს? — ვკითხე ცოტა არ იყოს, დაეჭვებულმა.

— რა იყო და, ამას წინათ ათი ლარი დამჭირდა. უცბათ ვერსად ვიშოვე და აგერ, გადასასვლელის თავში მათხოვარი რომ მოკალათებულა, იმას მივადექი. ფულს ხშირად ვჩუქნი და ვიფიქრე, ხელს გამიმართავს-მეთქი. ჩემი თავი გენაცვალოსო, — მითხრა და ტკიცინა ათლარიანი დააძრო. შეპირებული ერთი კვირაც გავიდა და მეორეც ზედ მიჰყვა. სიტყვა ვერ შევასრულე — ათი ლარი ხელში ვერ მოვიგდე. სახელოსნოში მეორე მხრიდან შემოვდიოდი. დღეს, როგორც იქნა, ფული მივუტანე და მოვუბოდიშე, დაგიგვიანე-მეთქი. დაცინვით ამომხედა და არ გამომართვა, შენ ჩემზე მათხოვარი ყოფილხარო... ტყუის? ერთი პირობა ვიფიქრე, კალმისა და იუმორის კაცია, რაღაცას იგონებს-მეთქი. მერე, მაშინდელ სიტუაციას რომ ჩავუკვირდი, დავრწმუნდი: ზურაბ გომურაშვილი სიმართლეს მეუბნებოდა.

ერთ დღეს კაი ხნით გაქრა ქალაქიდან. ვიღაცამ მითხრა, რაიონში წავიდა და მასწავლებლობსო. „მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელია", — გავიფიქრე, თუმცა, იმასაც მივხვდი, რომ ქალაქს „ტკბილი" ცხოვრების გამო არ გარიდებია.

ამას წინათ ისევ „ჩავიყურყუმალავე" ნაცნობ მიწისქვეშა გადასასვლელში. ზურაბის ფოტოსახელოსნოში ფეხსაცმელების შემკეთებლები შეხიზნულიყვნენ. „ამათ თუ ეცოდინებათ ჩემი ძმაკაცის ასავალ-დასავალი". საქმეში ჩაღრმავებულ ხელოსანთან გამოლაპარაკება დავაპირე, მაგრამ სიტყვა პირზე შემაშრა: ხელში სწორედ ზურაბ გომურაშვილი არ შემრჩა?

— სად დამეკარგე, ჯიგარო! — მითხრა, დაკოჟრილი ხელი გამომიწოდა და შემომცინა. — რა ხანია, აღარ გამოჩენილხარ.

— მე კი არა, შენ დაიკარგე! გეძებე, გეძებე და ძლივს არ მოგაგენი?

— ეე, შენ რო ჩემი თავგადასავალი იცოდე... აქ რო აღარაფერი გამომივიდა, მოვკიდე ხელი ჩემს დედაკაცს და თეთრი წყაროში წავედი. იქ ერთი პატარა სოფელია, დმანისი. ეზოიანი სახლი ვიყიდეთ და დავიწყეთ ახალი ცხოვრება. სკოლა არა ჰქონდათ, კაცო! მივდექი-მოვდექი, რაიონი შევაწრიალე. ყველა თავიდან მიცილებდა, მაგრამ მეც კაი კერკეტი კაკალი ვარ. მანამ არ მოვეშვი, სანამ სკოლის გახსნის ნებართვა არ გამოვტყუე. მე დირექტორი ვიყავი, ჩემი ცოლი, ნანი, დაწყებით კლასებს ასწავლიდა. ჯერ ოცდათოთხმეტი ბავშვი გვყავდა. მერე სვანები ჩამოასახლეს და თხუთმეტი თუ თექვსმეტი კიდევ შემოგვემატა...

ვუსმენდი გადირექტორებულ ფოტოხელოვანსა და მწერალს, რომელსაც თავის დროზე ეკონომიკური ფაკულტეტიც ჰქონდა დამთავრებული და მებაღე-მევენახეობისაც, თუმცა ამ სპეციალობებით ერთი დღეც არსად უმუშავია.

— პირველი წერილი — „დათვთან ბრძოლა" 1953 წელს გაზეთ „საკოლმეურნეო შრომაში" გამოვაქვეყნე. ჩემს ფოტოებსა თუ კორესპონდენციებს სიამოვნებით ბეჭდავდნენ „კომუნისტში", „თბილისში", „საქართველოს ბუნებაში", „ახალგაზრდა კომუნისტში", „ლიტერატურულ საქართველოში", „ცისკარში". თან მეხალისებოდა, თან ორიოდე გროშსაც ვშოულობდი. მერე რაც მოხდა, შენც კარგად იცი...

— დმანისში დიდხანს დარჩი?

— ოთხი წელი. ისევ ძველ ადგილზე რომ მოვედი, მივხვდი, ფოტოსახელოსნოს გახსნას აზრი არა ჰქონდა. აი, მე და მელიქ ვართანიანი შევამხანაგდით. ახლა მეჩექმე ვარ...

ოფლით მოპოვებული ლუკმა, იცოცხლეთ, ნამამაძაღლარ მილიონებს სჯობს, მაგრამ... ამ კაცს ექვსი წიგნი აქვს გამოცემული, ერთი ამდენი კი თავის რიგს ელოდება. „შავი ლაქები წითელ სუფრაზე" — ასე მონათლა პირველი კრებული 1991 წელს. მერე ფოტოალბომი, ზღაპრები, რომანი „კაცი — ქალში", მოთხრობები მიაყოლა.

— ასეა, ძმაო. ახლა ინდმეწარმე ვარ. ახლომახლო მცხოვრებლები სულ ჩვენთან მოდიან.

— პრეზიდენტმა რომ თქვა, ინდმეწარმეები გადასახადებისგან უნდა გავათავისუფლოო, როგორ არის საქმე?

— ჯერჯერობით ჩვენთვის არაფერი უთქვამთ. თვეში ისევ ოცდაათ-ოცდათხუთმეტ ლარს ვიხდით. ძაან კი გაჭირდა საქმე! ადრე მასალაში ასი ლარი თუ მყოფნიდა, ახლა სამასიც აღარ მყოფნის, შემოსავლის მესამედზე მეტი მიაქვს. კაცო, შენ გავლენიან გაზეთში მუშაობ, მიდი რა, დაწერე რამე! ადრე სინათლისას მოჭრით გვახდევინებდნენ — მრიცხველი გვქონდა მოშლილი. მოვიდნენ და ორასი ლარით დაგვაჯარიმეს, თუმცა, ფიქსირებულს უკვე ვიხდიდით. ძალს ისინი არიან, ძალს — ჩვენ. მაგათ ჰგონიათ, მჭადიდან ნახშირს ვერ ვარჩევთ! ეტყობა, ჯიბის ფულად უნდათ. ვერ მივართვით! აი, მელიქა ძველი კარატისტი და მსროლელია, თანაც — ტიტულოვანი. თუ ჭკუას არ მოუხმობენ, არც პასუხზე დავიხევთ უკან!

— მოვლენ და კაი ნაზუქსაც გამამტყუებენ, — იცინის მელიქა, თან ფეხსაცმელს უკირკიტებს. — ჰო, მართლა, თედო ნიკოლაიშვილს თუ იცნობ? მე და ეგ კინოლოგები ვართ, ძაღლებსა ვგეშავთ, რაღა!

— როგორ არ ვიცნობ, ჩვენთან მუშაობს. სურათის გადასაღებად სწორედ იმას გამოვაგზავნი.

— ძალიანაც კარგი.

— ერთი ეს მითხარი, თეთრწყაროში გატარებულ ოთხ წელს როგორ იხსენებ, დაკარგულად ხომ არ მიგაჩნია? — მივუბრუნდი ზურაბს.

— ეეჰ, ოჯახმა მოითხოვა, თორემ, დღესაც იქ ვიქნებოდი. სამოცი წლის იუბილე გადამიხადეს, ახალი წიგნის გარჩევა მომიწყეს. კარგად შევეგუეთ ერთმანეთს. ხშირად ვიხსენებ იქაურებს და დაშორების გამო გულიც მწყდება.

— შენმა ყოფილმა მოსწავლეებმა ასეთ დღეში რომ განახონ, არ შეგრცხვება?

— შემრცხვება? რისა უნდა შემრცხვეს, კაცო! ჩემი ოფლით რომ ვცხოვრობ, იმისა? შენგან არ მიკვირს? მე იმათ პატიოსან შრომასაც ვასწავლიდი. არამ მილიონებს ასე აღებული ერთი ლარი მირჩევნია!

ერიჰა! მგონი, ცოტა გავანაწყენე ჩემი ძმაკაცი!

# ორდიპლომიანი მეჩექმე

## ანუ ლარი, რომელიც ზურაბ გომურაშვილს მილიონს ურჩევნია

— წიგნებისთვის როდისღა იცლი?

— საღამოობით, სამუშაოს შემდეგ. გამოსაცემად მზად მაქვს „გონძლორა" — მთავარი გმირის თიკუნია. უამრავი მოთხრობა დამიგროვდა, მაგრამ, ხო იცი, ეს ოხერი „ფარა" მიჭირს. რასაც ვშოულობ, ოჯახი ნთქავს. თან, თვალებმაც მიმტყუნა, ოპერაცია მჭირდება...

— მოდი, ერთ ამბავზე შევთანხმდეთ. ასაკმა მეც შემომიტია. ვინიცობაა, ჟურნალისტობა ვეღარ შევძლო, სამუშაოს ვერ გამომინახავთ? მასეთი რამეები, შენ და მელიქა რომ აკეთებთ, მეც გვარიანად მეხერხება.

— ჩემი თავი გენაცვალოს! აგე, ერთი მაგიდა თავისუფალია. დაჯექი და იმუშავე, უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს!

**არ ვიცი, იქნებ ენამ მიყივლა? ყოველ შემთხვევაში, კვამლი უცეცხლოდ რომ არ არის, ესეც ნაღდია: ჩვენს ერთ მინისტრს, თურმე, ორმოცი წლისა თანამშრომელი კი არა, ეზოში ხეც არ ეპიტნავება. მე კი კაი ხანია, ორმოცსაც გადავაბიჯე და სამოცსაც. ჩემმა უფროსმაც იმ მინისტრს რომ მიბაძოს?**

**ერთი სიტყვით, სამუშაო ნაშოვნია. ბოლოსდაბოლოს, ზურაბისა არ იყოს, არც მე გახლავართ გენერალი...**

**ელგუჯა ლებანიძე.**

### კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში

**კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 111 წლისთავთან დაკავშირებით აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში კოკო გამსახურდია, მანანა არჩვაძე, გიორგი გამსახურდია, ადგილობრივი ხელისუფლების და მოსახლეობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ.**

**საზეიმო ღონისძიება კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში დაიწყო და აბაშის რაიონის კულტურის სახლში გაგრძელდა, სადაც შეიკრიბნენ აბაშის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ის ადამიანები, რომლებიც პირადად იცნობდნენ კონსტანტინე გამსახურდიას. როგორც კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიამ აღნიშნა, იგი ჩამოვიდა საქართველოში სწორედ ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.**

### „აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგა" მოითხოვს

**„აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგა" ხელისუფლებისგან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დამატებითი არჩევნების ჩატარებას და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლობის არჩევას მოითხოვს.**

**როგორც ჟურნალისტთა სახლში „ლიგის" ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭოს წევრმა მალხაზ პატარაიამ განაცხადა, „ლიგა" დიდი ხანია ითხოვს ხელისუფლებისგან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დამატებითი არჩევნების ჩატარებას და საქართველოს პარლამენტში დევნილთა წარმომადგენლობის არჩევას.**

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

## თაობა

# სტუდენტური კინემატოგრაფის შტურმი

### ხვალ იწყება სტუდენტური ფილმების IV ფესტივალი — „ჩვენ მოვდივართ"



ბოლო ხანებში თბილისში ფესტივალების რიცხვმა იმატა, მათ შორის სტუდენტურებმაც. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რადგან ახალგაზრდა ხელოვანებს ასპარეზი ეძლევათ — ისინი თავიანთ ნამუშევრებს წარმოადგენენ და თავს ფართო საზოგადოებას აცნობენ. ამჯერად თბილისი სტუდენტური ფილმების ფესტივალს მასპინძლობს, რომელსაც, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, საინტერესო სახელი — **„ჩვენ მოვდივართ"** ჰქვია.

ეს ფესტივალი თბილისში უკვე მეოთხედ იმართება. მას საფუძველი კლუბ „სარდაფში" ჩაეყარა 2001 წლის 26 მარტს. თუკი წინა სამ ჯერზე მას იგივე „სარდაფი" მასპინძლობდა, წლეულს ტრადიცია დაირღვა და ეს მოვალეობა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა იტვირთა. **ხვალ, 17 მაისს, საზეიმო გახსნაზე შვედი, პოლონელი და ამერიკელი ახალგაზრდა რეჟისორების კონკურსგარეშე ფილმები იქნება ნაჩვენები.**

წლევანდელ ფესტივალზე 56 ფილმი მონაწილეობს, რომელთა ავტორებიც შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის და რადიოსა და ტელევიზიის ინსტიტუტის სტუდენტები არიან. თუმცა, კონკურსში გამონაკლისის სახით მონაწილეობენ ის ახალგაზრდებიც, რომელთაც უკვე დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები ან სხვა სპეციალობებს ეუფლებიან და კინოშიც მოღვაწეობენ. ორგანიზატორების აზრით, მსგავსი გამონაკლისები დასაშვებია, რადგან ამ ადამიანების ნამუშევრები არ უნდა დაიკარგოს.

წინა წლებთან შედარებით სიახლე მრავლადაა. მაგალითად, გაუქმდა გრან-პრი, რასაც, ფესტივალის ორგანიზატორების თქმით, რამდენიმე მიზეზი აქვს: უწინარესად, ეს თანასწორუფლებიანობისთვის მოხდა, მეორეც: წლეულს ვეღარ ხერხდება იმ მთავარი პრიზის გადაცემა, რითაც გრან-პრის მფლობელს აჯილდოვებდნენ. ეს იყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი 3-თვიანი თანამშრომლობა იტალიურ ტელეარხ „რაი-უნო"-სთან. ეს პროგრამა იტალიის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდებოდა, მაგრამ ამ დროისთვის გარკვეული მიზეზების გამო ეს ვეღარ მოხერხდა.

შეიძლება ითქვას, რომ „პირველი ტური" უკვე მოეწყო. სელექციის შემდეგ ყველა მსურველი ფესტივალზე ვერ მოხვდა და 20 ფილმი კონსკურსგარეთ დარჩა. შერჩეული 56 კი ხუთი სხვადასხვა ჟანრისაა (მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული, მოკლე ნამუშევარი, მუსიკალური კლიპი) და 15 ნომინაციისთვის იბრძოლებს, აქედან 7 ძირითადია, ხოლო 8 — მეორეხარისხოვანი. ძირითად ნომინაციებში შედის საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი, ექსპერიმენტული ფილმი, მხატვრობა, სცენარი და ოპერატორული ნამუშევარი.

გამარჯვებულებს გადაეცემათ წამახალისებელი პრიზები და ფულადი პრემიები, რომლებიც სპონსორებმა დააწესეს და, რაც მთავარია, ფესტივალის მთავარი ჯილდო — მცირე ზომის ქანდაკება, რომელსაც სესილია თაყაიშვილის საპატივცემულოდ „სესილი" ეწოდება.

წელს ჟიურიც სხვაგვარად იქნება დაკომპლექტებული. თუკი აქამდე მისი ყველა წევრი კინოკრიტიკოსი იყო და ამდენი „კბილებალესილი" შემფასებელი ახალგაზრდა კინოხელოვანებაში, ცოტა არ იყოს, შიშის გრძნობას იწვევდა, ამჯერად ჟიურის შემადგენლობა ჭრელია და იგი კინოში მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს აერთიანებს: მსახიობს, რეჟისორს, ოპერატორს, კრიტიკოსს და ა. შ. ცხრა შემფასებლისგან შემდგარ ჟიურის, რომელშიც შედიან თამარ სხირტლაძე, ნანა ჯანელიძე, ელისო ერისთავი, კახი ხუციშვილი, ამირან ჭიჭინაძე, გია გერსამია, ჟანრი ლოლაშვილი და გიორგი კალატოზიშვილი, ხელოვნებათმცოდნე თამარ ბოკუჩავა უხელმძღვანელებს.

თუ სხვა ფესტივალები მუდამ სპონსორების სიმცირეს უჩივიან, აქ ეს პრობლემა არ დგას. მათი ჩამოთვლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს-წრის სტუდენტური შემოქმედებითი დაინტერესება ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთოა. ეს უამრავ ახალგაზრდა ხელოვანს მისცემს მუშაობის ხალისსა და სტიმულს. ახალგაზრდა ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

ფილმების ჩვენება კინომსახიობთა თეატრში გაიმართება. ფესტივალი აქვე საზეიმოდ დაიხურება 24 მაისს.

„ჩვენ მოვდივართ" საკმაოდ გაბედული სახელწოდებაა და გაფრთხილებასაც ჰგავს. ასე რომ, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, რევოლუციებით „განებივრებულ" საქართველოში კიდევ ერთი შეტევაა მოსალოდნელი, ამჯერად კინოხელოვნებაზე, მაგრამ თუ პროგნოზი გამართლდა, ეს ყველაზე უმტკივნეულო და სასიამოვნო შტურმი იქნება.

**სალომე ქოქიაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 111, კვირა, 16 მაისი, 2004 წელი.

# ამერიკელებმა აკრძალეს დაკითხვის მთელი რიგი მეთოდების გამოყენება

**ამერიკის არმიამ აკრძალა ტყვეთა დაკითხვის დროს მთელი რიგი მეთოდების გამოყენება, განაცხადეს ვაშინგტონში სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებმა.**

აკრძალულ ხერხებს შორის არის პატიმრის გრძნობის ორგანოების იზოლაცია, აგრეთვე ის,



რომ მას არ მისცენ ძილის შესაძლებლობა.

შეერთებული შტატების არმიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია ბაღდადის „აბუ-გრეიბის" საპყრობილეში პატიმრების წამებისა და აბუჩად აგდებასთან დაკავშირებით აგორებულმა სკანდალმა. პენტაგონის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ საქმის გამო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე მალე წარსდგება უკვე მეოთხე სამხედრო მოსამსახურე.

აქამდე, დაკითხვის დროს მთელ რიგ მეთოდებს, მაგალითად, იმას, რომ პატიმარს არ აძლევდნენ დაძინების შესაძლებლობას, იყენებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებდა ზემდგომი ხელმძღვანელობა.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რიჩარდ რამსფელდი ამტკიცებდა, რომ იურისტებთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, ეს მეთოდები არ მიიჩნიეს ნორმების დარღვევად. თუმცა ახლა, ამერიკის სარდლობა აცხადებს, რომ თხოვნას დაკითხვის დროს ასეთი საშუალებების გამოყენების შესახებ აღარ დააკმაყოფილებენ.

ხუთშაბათს ტრიბუნალის წინაშე წარსდგება სამხედრო პოლიციის კაპრალი ჩარლზ გრეინერი. მას, კერძოდ, ბრალად ედება პატიმრების მიმართ სასტიკი მოპყრობა.

პატიმრებთან მოპყრობის წესების დარღვევაში კიდევ ერთმა ეჭმიტანილმა – ჯერემი სივიტსმა დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ იქცეოდნენ მისი თანამშრომლები, მათ შორის კაპრალი გრეინერიც.

სივიტსი პირველი წარსდგება ტრიბუნალის წინაშე: მისი საქმის სასამართლო მოსმენა ოთხშაბათისთვის არის დანიშნული.

ხუთშაბათს დაიწყება, აგრეთვე, სერჟანტ აივან ფრედერიკის და სერჟანტ ჯავალ დევისის საქმეების განხილვა. ამ ორივე პირს ბრალდებები წაყენებული აქვს ხუთი პუნქტის მიხედვით.

პატიმრების აბუჩად აგდებასა და წამებაში ეჭვმიტანილია შვიდი სამხედრო მოსამსახურე. სამი მათგანის ბედი ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ანუ არ არის ცნობილი, წარსდგებიან თუ არა ისინი ტრიბუნალის წინაშე. მათ შორის არის ლინდი ინგლანდიც, რომელიც ფეხმძიმედაა, მომავალი ბავშვის მამა კი კაპრალი გრეინერია. სწორედ ლინდი ინგლანდის ფოტოებმა, რომელზეც ასახულია, თუ რა სასტიკად ეპყრობოდა იგი ერაყელ ტყვეებს, გამოიწვია საზოგადოებრიობის აღშფოთების პირველი ტალღა.

# ისრაელმა სარაკეტო დარტყმები მიაყენა ქალაქ ღაზს

**შაბათ დილით ისრაელმა სარაკეტო დარტყმები მიაყენა ქალაქ ღაზში ორ შენობას, რომლებსაც, როგორც ისრაელის მხარე ამტკიცებს, იყენებდნენ „ისლამის ჯიჰადის" ორგანიზაციის მოთარეშეები.**

რაკეტების დაშენის მომენტისათვის ორივე შენობა ცარიელი იყო.

როგორც პალესტინელთა ხელისუფლება აცხადებს, ქალაქ ღაზის სამხრეთ გარეუბანში ასევე მოხდა შეტაკებები პალესტინელ მოთარეშეებსა და ისრაელის სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაურებს შორის.

ეს ინფორმაცია გავრცელდა ღაზის სექტორში პალესტინელ ლტოლვილთა რაფაჰის ბანაკში მომხდარი ინციდენტის შემდეგ. იქ დაიღუპა ორი ებრაელი ჯარისკაცი და სულ ცოტა 14 პალესტინელი.

ისრაელის ვერტმფრენებმა ბანაკს დაუშინეს რამდენიმე რაკეტა, „ალაქსის მოწამეთა ბრიგადებმა" კი, როგორც ისინი ამტკიცებენ, ააფეთქეს ისრაელის საბრძოლო მანქანა, რის შედეგადაც დაიღუპნენ ჯარისკაცები.

თუმცა, ებრაელი სამხედროები სხვაგვარად განმარტავენ ამ ინციდენტს. ისინი აცხადებენ, რომ ჯარისკაცები, რომლებიც ეხმარებოდნენ პალესტინელ ქალს, მოკლა სნაიპერმა. კიდევ ორი ებრაელი ჯარისკაცი დაიჭრა. პალესტინელი კი დაიღუპა ლტოლვილების ბანაკისათვის რაკეტების დაშენის შედეგად.

შეტაკებები დაიწყო მას შემდეგ, რაც ისრაელის არმიამ რაფაჰის ბანაკში დაანგრია პალესტინელთა სულ ცოტა 10 სახლი. ზოგიერთი მონაცემით, არიელ შარონის კაბინეტი აპირებს ბულდოზერით დაანგრიოს რამდენიმე ასეული სახლი, რათა გაწმინდოს ბუფერული ზონა ღაზის სექტორსა და ეგვიპტეს შორის.

ოთხშაბათს პალესტინელები თავს დაესხნენ რაფაჰში ისრაელის ჯავშანტრანსპორტიორს და მოკლეს ხუთი ჯარისკაცი. ამ ინციდენტის შედეგად მომხდარი შეტაკების დროს დაიღუპა 12 პალესტინელი.

ზემოაღნიშნულ ინციდენტზე საუბრისას, ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა პალესტინელი მოთარეშეები დაადანაშაულა იმაში, რომ მათ დაღუპული ებრაელი ჯარისკაცის ცხედრები გადაიტანეს გაეროს კუთვნილი სასწრაფო დახმარების მანქანით.

მოფაზმა განაცხადა, რომ გაერომ ამასთან დაკავშირებით უნდა გააკეთოს სპეციალური განცხადება. ჯერჯერობით გაეროს არანაირი რეაქცია არ მოუხდენია ამაზე, პალესტინის მხარე კი უარყოფს ისრაელის მინისტრის გამონათქვამს.

მას შემდეგ, რაც დაღუპული ჯარისკაცების ცხედრები გადასცეს ისრაელის მხარეს ეგვიპტელი შუამავლების მეშვეობით, დაიწყო ისრაელის ჯარების გამოყვანა ღაზის სექტორის უმეტესი ნაწილიდან. თუმცა, ისრაელი კვლავ აკონტროლებს სექტორის სამხრეთ ნაწილში პალესტინელთა დასახლებებსა და ეგვიპტის



საზღვარს შორის არსებულ ცხრაკილომეტრიან ზონას.

ისრაელის მხარეს უშიშროების ზოლის შექმნა „თავდაცვის კანონიერ ღონისძიებად" მიაჩნია. „ეს გააუმჯობესებს ჩვენი ჯარისკაცების დაცვას. ისინი გულხელდაკრეფილები ვერ იჯდებიან იმ დროს, როცა ნაღმსატყორცნები, რაკეტები და სხვა იარაღი კონტრაბანდული გზით გადააქვთ სასაზღვრო ხაზის ქვეშ გათხრილი მიწისქვეშა გვირაბით", – აღნიშნა „ფრანს პრესის" სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში არიელ შარონის კანცელარიის წარმომადგენელმა.

პალესტინის ოფიციალურმა პირებმა მომხდარ ამბავს უწოდეს „კატასტროფა" და მოითხოვეს საერთაშორისო გაერთიანების ჩარევა.

„ყოველივე ეს ძალზე სერიოზულია. მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, რომ ისრაელი არ აპირებს ღაზის სექტორიდან წასვლას", – თქვა „ფრანს პრესისათვის" მიცემულ ინტერვიუში პალესტინის ავტონომიის მინისტრმა საებ ერექათმა.

გაერომ უკვე დაგმო ისრაელის ასეთი მოქმედება და უწოდა მას „კოლექტიური დასჯის" მეთოდი.

„ძნელი წარმოსადგენია, რომ ყოველი დანგრეული სახლი ყოფილიყო პალესტინელი მოთარეშეების თავშესაფარი, ან იქ გადიოდა რაიმე საიდუმლო გვირაბი", – განაცხადა გაეროს პალესტინელი ლტოლვილების საქმეთა სააგენტოს პრესმდივანმა პოლ მაკკენმა.

ამავე დროს, ისრაელის გაზეთს „ედიოთ აჰრონოთს" მოჰყავს სოციოლოგთა ბოლო მონაცემები, რომელთა თანახმადაც ღაზის სექტორიდან ისრაელის ცალმხრივი გასვლის თაობაზე არიელ შარონის მიერ შემუშავებულ გეგმას ახლა უკვე მხარს უჭერს გამოკითხულთა 71 პროცენტი. 4 მაისს გამართული ანალოგიური გამოკითხვის დროს კი, შარონისეული გეგმის მხარდამჭერი რესპონდენტთა 64 პროცენტი იყო.

# გადადგა პოლონეთის პრემიერი

**პოლონეთის ახალი პრემიერ-მინისტრი მარეკ ბელკა გადადგა მას შემდეგ, რაც ვერ მიიღო პარლამენტისგან ნდობის ვოტუმი. ამრიგად, პოლონეთში დაიწყო პოლიტიკური კრიზისი ევროკავშირში ამ ქვეყნის გაწევრიანებიდან ორი კვირის შემდეგ.**

პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ 51 წლის ყოფილი ფინანსთა მინისტრი დანიშნა ქვეყნის ახალ პრემიერად მას შემდეგ, რაც მაისში გადადგა პოლონეთის წინა მთავრობა კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალის და ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონის გამო.

მაგრამ პარლამენტის სესიაზე მსოფლიო ბანკის ყოფილმა მრჩეველმა მარეკ ბელკამ, ვერ შეძლო სეიმში შეეპირებინა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა, რაც აუცილებელი იყო პარლამენტისგან ნდობის ვოტუმის მიღებისათვის.

ასეთი შედეგი სიურპრიზი არ ყოფილა. დემოკრატიული მემარცხენე ალიანსის მმართველ პარტიას, რომლის წევრიც არის ბელკა, არ ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში, ახალი პრემიერის ლიბერალურ ეკონომიკურ შეხედულებებს არ იზიარებენ არც მისი ყველა თანაპარტიელი და არც კოალიციაში შემავალი პოტენციური პარტნიორები.

მარეკ ბელკა გადადგა, მაგრამ განაგრძობს მოვალეობის შესრულებას მანამ, სანამ არ დანიშნავენ ახალ პრემიერს. არც ის არის გამორიცხული, რომ ამ პოსტზე კვლავ ბელკა აირჩიონ.

პოლონეთში არსებული რთული საკონსტიტუციო წესების თანახმად, თუ პარლამენტი არ დაუჭერს მხარს გადამდგარი პრემიერის ალტერნატივის დამტკიცებას, სეიმში კვლავ შეიძლება შეიტანონ ბელკას კანდიდატურა და მაშინ მას დასჭირდება ხმათა უბრალო უმრავლესობის (და არა აბსოლუტურის) შეპირება იმისთვის, რომ მოიპოვოს დეპუტატთა ნდობის ვოტუმი.

# ამერიკელები დატოვებენ ერაყს ქვეყნის მთავრობის პირველი მოთხოვნისთანავე

**როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, ამერიკელი სამხედროები წავლენ ერაყიდან ქვეყნის ახალი მთავრობის პირველი მოთხოვნისთანავე.**

პაუელის თქმით, ვაშინგტონი პატივს სცემს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და დაემორჩილება დამოუკიდებელი ერაყის სახელმწიფოს ხელმძღვანელობას. თუმცა, ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა შენიშნა, რომ ერაყის ახალი მთავრობა, ალბათ, ამერიკელებს არ მიმართავს ასეთი თხოვნით.

„ჩვენ ერაყში ვიმყოფებით ამ ქვეყნის ხალხის ინტერესების დაცვისა და კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერის მიზნით", – თქვა პაუელმა. უცხო ქვეყნების ჯარები, ალბათ, დარჩებიან ერაყში და მათი გაყვანა მოხდება თანდათანობით, ერაყის ახალ ძალოვანი სტრუქტურებისთვის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების გადაცემის კვალობაზე, მიაჩნია სახელმწიფო მდივანს.

მანამდე კი განცხადებები ერაყიდან წამოსვლის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ ქვეყნის ახალი მთავრობის წარმომადგენლები გააკეთეს პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ და ერაყში ამერიკელთა დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა.



# სამხრეთ კორეის პრეზიდენტი კვლავ სათავეში

**სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ნო მუ ჰენმა ქვეყანას მოუხადა ბოდიში მას შემდეგ, რაც შეწყდა მის წინააღმდეგ დაწყებული იმპიჩმენტის პროცედურა და იგი კვლავ აღადგინეს თანამდებობაზე.**

სატელევიზიო გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ კისრულობს მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის გამოყენებული უკანონო ფონდების ირგვლივ აგორებული სკანდალის გამო, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა, რომ პრეზიდენტი უშუალოდ არ მონაწილეობდა ამ დარღვევებში.

ნო მუ ჰენმა განაცხადა, რომ აპირებს ითანამშრომლოს პარლამენტთან, მათ შორის თავის ოპონენტებთანაც, რომლებმაც მარტში მისცეს ხმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის დაწყებას.

# დამყარებულია „ევრო მილიონის" ლატარიით მოგების აბსოლუტური რეკორდი

**ერთ-ერთმა მოთამაშემ ამოიცნო ხუთი ძირითადი და ორი დამატებითი ნომერი, რის შედეგადაც მან მოიგო 33 მილიონი ევრო.**

ლატარიის გათამაშება გადაიცემოდა საფრანგეთის ტელევიზიით. გამარჯვებულის ვინაობას ლატარიის ორგანიზატორები, ტრადიციისამებრ, არ ამხელენ.

ახალი ლატარიის „ევრო მილიონი" დააარსა 2004 წელს ამ ბაზარზე სამმა უდიდესმა ოპერატორმა ესპანეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან, პირველი გათამაშება კი გაიმართა თებერვალში. ახალ თამაშს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა.

აქამდე ყველაზე დიდ მოგებად ითვლებოდა 25,5 მილიონი ევრო, რომელიც 9 აპრილს წილად ხვდა ბრიტანეთის ერთ-ერთ მოქალაქეს.

საფრანგეთში, ლატარიის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი მოგება დაფიქსირდა 1997 წლის 23 მაისს. ამ დღეს პოპულარული ფრანგული თამაშის „სუპერლოტოს" ერთ-ერთ მონაწილეს გაუღიმა ფინანსურმა ბედმა და მან მოიგო 23 მილიონი ევროს ეკვივალენტური თანხა ძველი ვალუტით – ფრანკებით.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სპორტი

## ფეხბურთი

### რაღას მიდიოდნენ?

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია – თბილისის „დინამომ“ ორივე მატჩი წააგო ვალერი ლობანოვსკის მემორიალზე და ბოლო ადგილი დაიკავა ისე, რომ მეტოქეთა კარში ერთი გოლიც კი არ გაუტანია. ||| ადგილისთვის გამართული შეხვედრა ქართველმა ფეხბურთელებმა რიგის „სკონტოსთან“ დათმეს 0 : 1, თანაც ირაკლი ზოიძემ პენალტი აუღო ერთადერთი გოლის ავტორს მიხოლაპს.

ბუნებრივია, ასეთი შედეგი ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონთა ქომაგებს სიხარულს ვერ მოჰგვრის – აკი, გუნდის თავკაცობა კიევში გამგზავრებამდე გვამზადებდა კიდეც, ეროვნული ჩემპიონატის მძაფრი ფინიშისთვის ძალები უნდა დავზოგოთო, მარამ თუ საკუთარ პრესტიჟსა და ლეგენდარული უკრაინელი მწვრთნელის ხსოვნას არ უფრთხილდებოდნენ, არ ჯობდა გამოცდილების მისაღებად მხოლოდ ჭაბუკები წაეყვანათ?

რაც შეეხება მთავარ პრიზს, იგი კიევის „დინამომ“ მოლდოვას „შერიფის“ ძლევით მოიპოვა – 4 : 0. მასპინძელთა ღირსებას 77 წუთის განმავლობაში იცავდა ალექსანდრე ამისულაშვილი.

## ჭიდაობა

### ფალავანთა ადგილის დედა

სოფელი გლდანი სახალხო ფალავნის კულა გლდანელის და სხვა დიდებული ფალავნების სოფელია, ამიტომაც აქ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი შემთხვევით არ აუშენებიათ (სასწავლებლის წინაპარი – სპორტინტერნატი 1958 წელს გაიხსნა გიორგი მერკვილაძის თაოსნობით).



სპორტის მრავალ სახეობათაგან სასწავლებელში მხოლოდ ჭიდაობები შემორჩა. აქ ხშირად იმართება ტურნირები ძიუდოში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აქაური მწვრთნელები – თამაზ ბენდიანიშვილი, ჯონი ლორია, ვაჟა კრავეიშვილი და მალხაზ შეშაბერიძე გულდაგულ მოღვაწეობენ.

ორიოდე დღის წინათ სასწავლებლის ჭიდაობის დარბაზში მორიგი ტურნირი გაიმართა, რომელშიც 280 მოჭიდავე ასპარეზობდა. პირველი ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს გიგა ბუჯიაშვილმა (გორი), ზურაბ იაკობაშვილმა (ყვარელი), რეზო ავალიშვილმა (ხარაგაული), თორნიკე ბურჯალიანმა (ქუთაისი), სერგო კილურაძემ (სამტრედია), კოტე მაისურაძემ (გორი), დავით მარსაგიშვილმა (ყაზბეგი), დავით გალეგაშვილმა (გორი), რეზო ჯანელიძემ (თბილისი), გიორგი ჩიტიშვილმა, ვალერი ნადირაძემ (ორივე ყვარელი), გიორგი ხელაშვილმა (თბილისი) და გიორგი ვეფხვაძემ (ხარაგაული).

**დავით ბედიძე.**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი.**

## ყოველი მხრიდან




### „უშიშროების დაცვა ჩვენი ამოცანაა!“

– ასე აცხადებენ საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტროს წარმომადგენლები, როცა საქმე ეხება ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენებისა და სტუმრების უსაფრთხოების დაცვას. მათ უარი განაცხადეს თამაშების დროს უცხოური შეიარაღებული მცველების შეშვებაზე საბერძნეთში. „ხოლო თუ რომელიმე ქვეყნის ნაკრები გახდება ტერორისტების თავდასხმის უეჭველი ობიექტი, ჩვენ მივიღებთ დამატებით ზომებს, მაგრამ საზღვარგარეთული უშიშროების შეიარაღებული თანამშრომლები საბერძნეთში ვერ ჩამოვლენ“.

დამატებით ზომებში იგულისხმება ათლეტების პირადი დაცვა, ოლიმპიელების ათენში ავტობუსებით გადაადგილებისას თანხლება, დაგეგმილი მარშრუტების საჰაერო დაზვერვა.

აღსანიშნავია, რომ თამაშების უშიშროების დასაცავად გამოყოფილი თანამშრომლების რიცხვი 41 ათასიდან 70 ათას კაცამდე გაიზარდა.

### დაუჯერებელი გამარჯვება

**ასე მიიჩნიეს ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონატში „ლეიკერსის“ სტუმრად გამარჯვება „სან-ანტონიოზე“ – 74 : 73, რომლითაც დამთავრდა მეოთხედფინალური სერიის მეხუთე მატჩი. ამ სერიიდან პირველი ორი შეხვედრა „სან-ანტონიოს“ გამარჯვებით დასრულდა 88 : 78, 95 : 85, მომდევნო ორ მატჩში კი „ლეიკერსმა“ იმარჯვა – 105 : 81, 98 : 90.**

გადამწყვეტ მეხუთე მატჩში ფინალურ სასტვენამდე 0,4 წამიღა იყო დარჩენილი, როცა მასპინძელთა ლიდერმა ტიმ დანკანმა თითქოსდა გამარჯვების ბურთი მოათავსა მეტოქის კალათში – 73 : 72, მაგრამ სტუმრებმა „იეშმაკეს“ და ზედიზედ სამი (!) წუთშესვენება აიღეს, რის შემდეგ თითქმის მოედნის შუაგულიდან ცენტრალურმა გამთამაშებელმა გერი პეიტონმა ბურთი გადააწოდა დერეკ ფიშერს, მან კი შეუჩერებლად ხუთნახევარი მეტროდან ის კალათში მოათავსა და გამარჯვებაც გაუნაღდა თავის გუნდს.

ვიდეოჩანაწერის გასინჯვის შემდეგ მსაჯებმა დაადგინეს, რომ ბურთი წესების სრული შესაბამისობითაა ჩაგდებული, თუმცა „სან-ანტონიომ“ მაშინვე გააპროტესტა – ასე მცირე დრო საკმარისი არ არის, რათა ბურთი მიიღო და კალათშიც მოათავსოო. წამზომი ცოტა დაგვიანებით ხომ არ ჩართესო.

**სურათზე: დერეკ ფიშერი კობი ბრაიანტთან და გერი პეინტონთან ერთად ზეიმობს გამარჯვებას.**



### ფარ-ხმალს არ ჰყრის

არ ვიცით, რამდენად შეესაბამება ჩვენებური ანდაზა „ბებერი ხარისაო...“, მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია, რომ 47 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ქალბატონი მარტინა ნავრატილოვა, რომელსაც 10 წელია, მონაწილეობა არ მიუღია ერთეულთა ასპარეზობებში და მხოლოდ წყვილთა პაექრობებში გამოდიოდა, საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე აპირებს ბედის ცდას. უკანასკნელად მარტინამ „დიდი ჩაფხუტის“ ამ ტურნირზე პარიზში 1984 წელს იზეიმა გამარჯვება.

როგორც ამ ფრანგული ტურნირის სპორტულმა დირექტორმა სტეფან სიმიანმა განაცხადა, მსოფლიოს ექს-პირველ ჩოგანოსანს მისივე თხოვნით Wild card-ს მიანიჭებენ.

შეგახსენებთ, რომ ვეტერანი ჩოგბურთელი წყვილთა მსოფლიო რეიტინგში მეშვიდე ადგილზეა.




## ათენი-2004

### ტყვიას ტყვიაში აჯენს

**საქართველოს სპორტსმენთაგან 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზია სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ ჯერ კიდევ შარშან შანხაიში (ჩინეთი) მსოფლიო თასის გათამაშებაზე მოიპოვა. ქართველი ჩუბინი პლანეტის უძლიერეს სპორტსმენთა უმთავრეს ფორუმში ზედიზედ მეხუთედ იასპარეზებს.**

*სადარბაზო ბარათი:*

*ნინო სალუქვაძე დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს თბილისში. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. ტყვიის სროლაში ვარჯიში დაიწყო 1982 წელს მამის – ვახტანგ სალუქვაძის ხელმძღვანელობით.*

*1984 წელს საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე „ოქროს მედალი მოიპოვა. მომდევნო წელს ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობაზე ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ექვსჯერ მსოფლიოს სუპერთასს ფლობდა, ოცჯერ – მსოფლიო თასს. ორჯერ ევროპის ჩემპიონი (1990 და 1993 წ.წ.) იყო; ერთხელ – მეორე (1999), ოთხჯერ კი მესამე (1996, 2000, 2001, 2003 წ.წ.) ადგილი დაიკავა.*

*1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია სპორტული პისტოლეტით სროლაში, ხოლო პნევმატური პისტოლეტით ვერცხლის მედალი მოიპოვა. დამყარებული აქვს 25 მსოფლიო რეკორდი.*

*მსოფლიო ჩემპიონატებზე სამჯერ (1986 წ. – გუნდური, 1989 წ. – პირადი (პნევმატური პისტოლეტით) და გუნდური) გაიმარჯვა, 1986 წელს მე-3 ადგილზე გავიდა, 2002 წელს კი ლაჰტში (ფინეთი) ვერცხლის მედალი ხვდა. მანამდე კი შანხაიში მსოფლიო თასი მოიგო და ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა.*

*გათხოვილია, ჰყავს მეუღლე – ყოფილი მორაგბე გოჩა მაჭავარიანი და ორი შვილი – 10 წლის ნინო და 7 წლის ირაკლი (ცოტნე).*



– ჩემი სპორტული კარიერა კალათბურთით დაიწყო, – მითხრა ნინომ, – ყოფილი პირველი მაისის რაიონის გუნდის შემადგენლობაში დედაქალაქის ჩემპიონიც კი გავხდი უმცროს ასაკში. მერე კალათბურთის სექცია ნაძალადევში გადაიტანეს და ასე შორს სავარჯიშოდ მშობლებმა არ გამიშვეს. ბავშვს გული არ დაწყდესო და დედამ მიმიყვანა... მუსიკის მასწავლებელთან. უხეში ქალი იყო და პირველი დღიდანვე ვერ შევეწყვე. ერთხელ, მუსიკაზე რომ არ წავსულიყავი, საათის ისრები გადავწიე და სკოლაში მთელი საათით ადრე მივედი. საღამოს, ეშმაკობას რომ მიმიხვდნენ, დედამ მამას ურჩია: ხომ ხედავ, ეს ბავშვი შინ ვერ ისვენებს, შენთან სასროლეთზე მაინც წაიყვანეო. მართალი გითხრათ, არ მესიამოვნა ეს სიტყვები: უწინაც დავსწრებივარ მამას ვარჯიშებზე და, ბუნებით მოძრავს, მიკვირდა, ეს ქალები და კაცები მთელი დღე გაჯგიმული როგორ დგანან-მეთქი.

თავიდან გამიჭირდა შეგუება, თუმცა, მამის ხათრით, არ ვიმჩნევდი. შემდეგ საქმე ისე წავიდა, რომ სასროლეთიდან წამოსვლა აღარც მინდოდა. იარაღს შევეჩვიე, სროლაც „გამიტკბა“ და ამასობაში 1983 წელს თბილისის პირველობაზე გოგონებსაც ვაჯობე და ბიჭებსაც – მრავალ სამიზნეზე 30 გასროლიდან 270 ქულა მოვაგროვე. მერე მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე კიშინიოვში მეორე ადგილი დავიკავე და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შევასრულე. 1984 წლის ზაფხულში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ოთხი „ოქრო“ მოვიპოვე. მამა მაშინ მოქმედი ტყვიის მსროლელი გახლდათ, კარგ ფორმაშიც იყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა აქტიური სპორტისთვის თავის დანებება. მთელი ყურადღება ჩემს დაოსტატებაზე გადმოიტანა.

იხ. მე-9 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მიხეილ ბერძენიშვილი — 90

**1946 წლის 11 აგვისტო. თბილისის „დინამო“ თავის მოედანზე ატარებს საერთაშორისო მატჩს ბელგრადის „პარტიზანთან“, რომელშიც იუგოსლავიური და ევროპული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავები ბობეკი, მატეკალო, ჩაიკოვსკი და სხვები თამაშობენ. კარში დგას 36 წლის ფრანიო გლაზერი — საერთაშორისო საფეხბურთო ბატალიებში გამოწრთობილი გოლკიპერი. მიმდინარეობს მე-20 წუთი. თბილისელთა შეტევა, ბორის პაიჭაძე პირისპირ გადის მეკარესთან და ამ დროს დამცველი ჯურჯევიჩი უხეშად ეთამაშება მას. 11-მეტრიანი!**

თბილისელთა ახოვანი ნახევარმცველი მიხეილ ბერძენიშვილი დინჯად იღებს ხელში ბურთს, საგულდაგულოდ ასწორებს თერთმეტმეტრიანის წერტილზე და უკან ბრუნდება გრძელი გამორბენისთვის.

სტადიონი გაისუსა „ბერძენიშვილის სპექტაკლის“ მოლოდინში. ყველამ იცის, რომ მიხეილი პენალტების უბადლო შემსრულებელია. იგი ფლობს მხოლოდ მისთვის ცნობილ და მის მიერ დამუშავებულ დარტყმის ილეთს, რომლის დროსაც მეტოქის მეკარე მოჯადოებულივით კარის ერთს კუთხეს მიაწყდება ხოლმე, ბურთი კი მოგორავს მეორე კუთხეში. ეს იცის მთელმა სტადიონმა. არ იციან მხოლოდ იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა, არ იცის მეკარე გლაზერმა. გამორბენი, დარტყმა... ტანმაღალი გლაზერი ასწრებს მთელი მარცხენა კუთხის გადახურვას და მხარით ძელსაც კი ეჯახება. ბურთი ამ დროს ნელა მიგორავს მარჯვენა კუთხეში და რბილად „ეხუტება“ ბადეს. სტადიონი გულიანად იცინის. დარცხვენილ მეკარეს ბურთი კარიდან გამოაქვს.

მეორე დღეს გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ იბეჭდება ფოტოსურათი, რომელზეც ეს ტრაგიკომიკური მომენტია აღბეჭდილი. წარწერა: — ასე ოსტატურად მოატყუა მ. ბერძენიშვილმა ბელგრადის „პარტიზანის“ მეკარე ფ. გლაზერი (ფოტო). — არის!

ეს ეპიზოდი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ლეგენდად იქცა და იგი სამუდამოდ დაამახსოვრდა ყველას, ვინც კი სტადიონზე იმყოფებოდა იმ ზაფხულის დღეს. დიახ, უბადლო, განუმეორებელი „პენალტისტი“ იყო მიხეილ ბერძენიშვილი, მაგრამ არა მარტო ამის წყალობით შევიდა იგი ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

მ. ბერძენიშვილი — ერთ-ერთი პირველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ქართველ ფეხბურთელთა შორის (1946) — ეკუთვნოდა პირველი თაობის მოთამაშეთა იმ ძირითად ბირთვს (შ. შავგულიძე, ა. დოროხოვი, ბ. პაიჭაძე, თ. გავაშელი, გ. გაგუა, გ. ჯეჯელავა), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ფეხბურთს, შექმნა მისი სათამაშო ტრადიციები, თვითმყოფი სტილი.

ეს იყო დაუღალავი, მაღალი ტექნიკისა და უძლიერესი, როგორც მაშინ იტყოდნენ, ყუმბარისებრი დარტყმის მქონე ფეხბურთელი. ამავე დროს, ძალზე კორექტული, ინტელიგენტური სტილის მოთამაშე. 1939 წლამდე შედეგიანი თავდამსხმელი — მარჯვენა შუამარბი, შემდეგ კი — ნახევარმცველი.

თითქმის სამოცი წლის წინათ გამართა თავისი უკანასკნელი ოფიციალური მატჩი მიხეილ ბერძენიშვილმა, მაგრამ უფროსი თაობის ფეხბურთის გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ ეს კოლორიტული და მრავალმხრივი ფეხბურთელი.

მ. ბერძენიშვილი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საბჭოთა ფეხბურთში და მის შესახებ მუდამ პატივისცემით წერდნენ თბილისელი და მოსკოველი ჟურნალისტები, ფეხბურთის სპეციალისტები.

1966 წელს, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის წინ საანკეტო გამოკითხვისას, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ნაკრების უფროს მწვრთნელს ნ. მოროზოვს ჰკითხეს, თუ როგორი ნაკრების წაყვანას ისურვებდა იგი ინგლისში ჩემპიონატზე. ნ. მოროზოვმა დაასახელა სსრ კავშირის ფეხბურთის ყველა დროის იდეალური ნაკრების თავისი ვარიანტი და მასში ერთ-ერთ ნახევარმცველად მ. ბერძენიშვილი შეიყვანა. რა თქმა უნდა, ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება.

„დინამოს“ შემადგენლობაში მიხეილი 1936-1947 წლებში გამოდიოდა. მონაწილეობდა 8 ჩემპიონატში (მათ შორის შეწყვეტილში — 1941 წ.). გამართა 137 თამაში, გაიტანა 39 ბურთი, სულ კი თავისი კლუბის შემადგენლობაში ითამაშა 160-ზე მეტ ოფიციალურ შეხვედრაში და 50 გოლი გაიტანა (მათ შორის 11 — თასის გათამაშებაში და 1 — საერთაშორისო მატჩში. ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე 1936 წ.). შედიოდა საქართველოს და ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდებში.

1935 წ. ამიერკავკასიის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში იგი პირველად დაასახელეს მარჯვენა შუამარბის ადგილზე. ამავე წელს მ. ბერძენიშვილი მონაწილეობდა სკანდინავიის ქვეყნებში ამიერკავკასიის ნაკრების წარმატებულ ტურნეში.

1936 წელს, როგორც ცნობილია, პირველად მოეწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი. საგაზაფხულო ჩემპიონატში თბილისელები „ბ“ კლასში თამაშობდნენ და მათ უკონკურენციოდ დაიკავეს პირველი ადგილი. აქ პირველად გამოვიდნენ თავდასხმის ხაზში ერთმანეთის გვერდით ბ. პაიჭაძე — ცენტრალური თავდამსხმელი და მ. ბერძენიშვილი — მარჯვენა შუამარბი. მომდევნო წლებში ეს იყო თავდასხმის ყველაზე ძლიერი რგოლი გუნდში 1939 წლამდე, როცა მიშამ ნახევარდაცვაში გადაინაცვლა.

1936 წლის საშემოდგომო ჩემპიონატში ჩვენებმა მე-3 ადგილი დაიკავეს. გუნდის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა მის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს მ. ბერძენიშვილს. პაიჭაძესთან ერთად იგი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ორივემ 6-6 ბურთი გაიტანა 7 თამაშში. თუმცა მიხეილ ბერძენიშვილისა და, საზოგადოდ, გუნდის ჭეშმარიტი ღირსებები მოსკოველმა სპორტის მოყვარულებმა რამდენიმე ხნით ადრე დააფასეს. ეს იყო საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ნათელ ფურცლად შესული სათასო მეოთხედფინალური მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან“ 16 აგვისტოს, რომელიც დამთავრდა 3:3, გადათამაშება კი თბილისელებმა მოიგეს 6:3.

ამ მატჩს მაღალი შეფასება მისცა იმდროინდელმა ცენტრალურმა პრესამ და მას დღემდე იგონებენ დამსწრენი. ფეხბურთის ცნობილი სტატისტიკოსი და ისტორიკოსი კონსტანტინ ესენინი წერს: „თამაშიც ამას ჰქვია. იგი ყველა დამსწრეს ახსოვს. თუმცა 30 წელი გავიდა — მაინც ახსოვთ. კიდევ 30 გავა და მაინც ყველას, ვინც კიდევ ცოცხალი იქნება, ემახსოვრება. ვინ იყო მაშინ გმირი თბილისელთა და სპარტაკელთა იმ მატჩში? ერთნიცა და მეორენიც გმირები იყვნენ. ორივე მხარემ დაიმსახურა სამუდამო სპორტული დიდება. მოჭადრაკეების მსგავსად, ფეხბურთელებსაც რომ ჰქონოდათ თავიანთი „უკვდავი“ და „მარადუჭკნობი“ პარტია-მატჩები, უდავოდ, 1936 წლის ეს მეოთხედფინალი დარჩებოდა „უკვდავ მატჩად“ სილამაზისა და მონაწილეთა სპორტული გმირობისათვის“ (1968 წ.).

პირველ მატჩში, როდესაც ანგარიში იყო 3:2 „სპარტაკის“ სასარგებლოდ და თამაშის დამთავრებას წუთიღა აკლდა, მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა მოსკოველთა კარში, რომელსაც ცნობილი მეკარე რ. რიჟოვი იცავდა. მიხეილმა ვირტუოზულად გამოიყენა იგი. მეკარე ერთ მხარეს გადახტა, ბურთი კი მეორე მხარეს გავიდა.

1937 წელს ბერძენიშვილი მთავარ ბომბარდირად მოგვევლინა სათასო თამაშებში და 6 მათგანში მისმა დარტყმულმა ბურთმა ექვსჯერ შეარხია მეტოქის კარის ბადე.

1938 წელი მისი ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი იყო. 25 თამაშში 12 ბურთით იგი გუნდის მეორე ბომბარდირი გახდა პაიჭაძის შემდეგ. სწორედ ამ სეზონში გაიმართა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ღირსსახსოვარი მატჩი 6 ნოემბერს მოსკოვის „მეტალურგთან“, რომლის ჭეშმარიტ გმირად მ. ბერძენიშვილი მოგვევლინა. ეს იყო ჩემპიონატის უკანასკნელი ტური. ჩემპიონობას ეცილებოდნენ საბჭოთა ფეხბურთის გრანდი — მოსკოვის „სპარტაკი“ და მოულოდნელი პრეტენდენტი — „ა“ კლასში ახლადგადმოსული მოსკოვის „მეტალურგი“.

ვერ ააწყვეს თბილისელებმა თამაში. მეორე ტაიმის მეოცე წუთისთვის ანგარიშია 2:0 „მეტალურგის“ სასარგებლოდ (მიტრონოვი და კაპელკინი — პენალტით). კიდევ კარგი, რომ თბილისელთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა მ. მინაევმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, თორემ...



# განუმეორებელი

თანდათან ინიციატივას თბილისელები ეუფლებიან. მოსკოველთა დამცველები აკრძალული ხერხებით აჩერებენ მათ შეტევებს საჯარიმო მოედანზე. ზედიზედ ინიშნება ორი პენალტი, რომელთაც უნაკლოდ იყენებს ბერძენიშვილი. მოსკოველთა კარის შტურმი გრძელდება და როდესაც თამაშის დამთავრებას რამდენიმე წუთიღა აკლია, კვლავ ბერძენიშვილი, ძნელი მდგომარეობიდან შემოტრიალებით მარცხენა ფეხით, დაახლოებით 20 მეტრიდან აგზავნის კარში ბურთს. გამარჯვება (3:2)!

1939 წ. სეზონში, რომელიც „დინამომ“ შესანიშნავად ჩაატარა და მეორე ადგილიც დაისაკუთრა, ახალმა მწვრთნელმა, გამოჩენილმა სპეციალისტმა მიხეილ ბიტუსოვმა მ. ბერძენიშვილი ნახევარდაცვაში დახია, გაითვალისწინა რა მისი გამძლეობა, მოქმედების დიდი დიაპაზონი, კომბინაციური ნიჭი და შორეული ძლიერი დარტყმები.

ამ ადგილზე ბერძენიშვილის საფეხბურთო ტალანტი კიდევ უფრო სრულად გამოვლინდა. მან 7 ბურთი გაიტანა, რომელთა შორის დასამახსოვრებელი იყო 19 სექტემბერს „მეტალურგთან“ (3:1) თავისი „საფირმო“ შორეული უძლიერესი დარტყმით მაღალ კუთხეში გატანილი ბურთი და, განსაკუთრებით, 18 ნოემბერს მოსკოვის „ცდკასთან“ ფანტასტიკურ მატჩში — 5:4 (1:4) გატანილი პენალტი. მეკარე ს. ლეონოვი მარცხენა კუთხეში იწვა, ბურთი კი ნელა მოგორავდა მარჯვენაში!

1940 წელს მ. ბერძენიშვილმა კვლავ შესანიშნავად ითამაშა და კვლავ 7 ბურთი გაიტანა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი გოლი ლენინგრადის „დინამოსთან“ ბრწყინვალე მატჩში (8.V, 5:0) — უძლიერესი დარტყმით 30 მეტრიდან კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში. ცნობილმა მეკარემ ვ. ნაბუტოვმა მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში მოწმენი გავხდით ერთი რეკორდისა, რომელიც რატომღაც არ არის შეტანილი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში: ხუთი ბურთი გატანილ იქნა ხუთ წუთში!

სხვადასხვა დროს მ. ბერძენიშვილი იყო თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი და უფროსი მწვრთნელი (1948 წ.), შემდეგ კი აღმზრდელად 35-ე საფეხბურთო სკოლაში მუშაობდა. სიკვდილმა მას 1981 წელს „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მოუსწრო.

მ. ბერძენიშვილის დასახასიათებლად სიტყვა მივცეთ მის საუკეთესო პარტნიორსა და მეგობარს ბ. პაიჭაძეს: „მიშა, უპირველეს ყოვლისა, იმით გვხიბლავდა, რომ შესანიშნავად ხედავდა მოედანს, სწორად და დროულად აფასებდა თამაშის მსვლელობაში წარმოქმნილ სიტუაციებს. ჰქონდა შესანიშნავი ზუსტი გადაცემა... ასე რომ, თუ მოსკოვის გუნდს ჰყავდა „ეშმაკ მელად“ ცნობილი მიხეილ იაკუშინი, ჩვენ რიგებში ასეთი გახლდათ მიხეილ ბერძენიშვილი. ახლა აიღეთ მისი განუმეორებელი პენალტები! მართლაც უბადლო იყო“.

რამდენი პენალტი აქვს შესრულებული ბერძენიშვილს ოფიციალურ თამაშებში, დაწყებული 1936 წლიდან — ამის ზუსტი დადგენა ადვილი საქმე არ არის — დაახლოებით 30, ამ რიცხვს კიდევ ვუმატებ ამხანაგურ თამაშებში გატანილ 5 თერთმეტმეტრიანს, რომელთა მოწმეც უშუალოდ გახლდით. მისი მზაკვრული დარტყმების წინაშე უძლურები იყვნენ იმ დროის საბჭოთა ფეხბურთის ცნობილი მეკარეები: რიჟოვი, კვასნიკოვი, ფოკინი, ლეონოვი, გრანატკინი, რაზუმოვსკი, ვინოგრადოვი, ნიკანოროვი, სკრიპჩენკო და სხვები. მაგრამ არა ჟმელკოვი, აკიმოვი და ხომიჩი, რომელთა გვარებსაც რატომღაც ასახელებენ ხოლმე ჩვენი სპორტული ჟურნალისტები. ამ მეკარეებისთვის ბერძენიშვილს ერთხელაც არ დაურტყამს პენალტი.

ცნობილია ისიც, თუ რამდენჯერ ვერ გამოიყენა საფეხბურთო სასჯელის ეს უმაღლესი ზომა ჩვენმა შეუდარებელმა პენალტისტმა — სამჯერ. ეს შემთხვევები დაგვამახსოვრდა სწორედ მათი უჩვეულობის გამო: ერთხელ, საზოგადოდ, უიღბლოდ წარმართულ მატჩში მოსკოვის „დინამოსთან“ 1937 წელს თბილისში (0:4), 1938 წ. მოსკოვის „კრილია სოვეტოვთან“ (თბილისში 5:3) და ერთხელაც — 1940 წელს — კიევში ადგილობრივ „დინამოსთან“ (3:0).

ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ ურტყამდა პენალტებს მ. ბერძენიშვილი, რა იყო მისი საიდუმლოება?

გაზეთ „ლელოში“, 50-იანი წლების დასაწყისში, დაიბეჭდა ბერძენიშვილის პენალტის კინოგრამა მისივე განმარტებით. დღეს მიჭირს ტექსტის აღდგენა, მაგრამ მახსოვს, რომ იგი ვერ ხდიდა ფარდას ბერძენიშვილის საიდუმლოებას, გაუგებარი რჩებოდა, რატომ ტყუვდებოდნენ მეკარეები ასე სასტიკად. და აი, როგორღაც 70-იან წლებში, როდესაც ერთ ოჯახში შევხვდი მიხეილს, პენალტების თაობაზე, ალბათ, უკვე მობეზრებული შეკითხვა მივეცი. მ. ბერძენიშვილის სიტყვებით, იგი მუდამ ახდენდა მეკარისგან მარცხენა კუთხეში დარტყმის იმიტირებას — იქით ვიყურებოდი და ხანდახან (უფრო იშვიათად) იქით ვურტყამდიო, თანაც ძლიერადო. ჩვეულებრივ კი კარის მარჯვენა კუთხეში ვაგზავნიდი ბურთს, რასაც ასეთი ტექნიკური ილეთით ვახორციელებდი: თითქოს კვლავ მარჯვნივ ვურტყამდი, ფეხს მარჯვნივ ვიქნევდი, თითქოსდა ვაცურებდი ფეხს ბურთის ზედაპირზე და უკანასკნელ მომენტში ქუსლის შიდა მხარით ბურთს მარცხნივ ე. ი. კარის მარჯვენა კუთხეში ვაგზავნიდიო — ამიტომ იყო, რომ დარტყმა ამ შემთხვევაში შედარებით უფრო სუსტი გამოდიოდა და ბურთი ნელა მიგორავდა კარისკენ. საინტერესო და ძალზე დამაჯერებელი ახსნაა.

ბერძენიშვილის, როგორც პენალტისტის, საკავშირო აღიარება იწყება მოსკოვის „სპარტაკთან“ ზემოთ ხსენებული სათასო მატჩით, მაგრამ თბილისსა და ამიერკავკასიაში მას მანამდეც ჰქონდა მოხვეჭილი დიდი სახელი, ერთი კურიოზული შემთხვევა სკანდინავიის ქვეყნებში ტურნეს დროს მოხდა. ჩვენი გუნდი ოსლოში ნორვეგიის ნაკრებს ხვდებოდა. მეორე ტაიმში მსაჯმა მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა. მ. ბერძენიშვილმა ჩვეული ოსტატობით გაგზავნა ბურთი ერთ კუთხეში. მეკარემ კი... ცარიელი ჰაერი დაიჭირა მეორეში. ასეთი მოულოდნელობით დაბნეულმა მსაჯმა ბურთი არ ჩათვალა და ხელმეორედ დარტყმა სთხოვა მიშას. ბერძენიშვილმა კვლავ დინჯად შეასრულა „ოპერაცია“ — სურათი ზუსტად განმეორდა. ახლა არბიტრმა, რომ იტყვიან, გაოცებისგან პირი დააღო. მიშამ შეამჩნია ეს, დასწვდა ბურთს და უნდოდა მესამედ დაერტყა, მაგრამ მსაჯმა მოულოდნელად გაიღიმა. მოფერებით მოუცაცუნა მხარზე ხელი ჩვენს ფეხბურთელს და ანიშნა — ყველაფერი ნათელიაო. სტადიონი ხარხარებდა. ყველა ტაშს უკრავდა მ. ბერძენიშვილს.

ვიგონებ ბერძენიშვილის კიდევ რამდენიმე ეფექტურ, განუმეორებელ თერთმეტმეტრიანს, რომლის მოწმეც უშუალოდ ვიყავი.

ერთ-ერთი მათგანი მოხდა ამხანაგურ თამაშზე 1939 წლის 6 მაისს როსტოვის „დინამოსთან“, რომლის კარს იცავდა ცნობილი მეკარე, რსფსრ-ს ნაკრების წევრი — ბოჟენკო. მან თავგანწირული ნახტომი გააკეთა წინგაწვდილი მუშტით (რამაც განსაკუთრებული მხიარულება გამოიწვია ტრიბუნებზე) ერთ მხარეს, ბურთი კი მეორე მხარეს გავიდა. ამავე სეზონში, როგორც ითქვა, ძალზე ეფექტური პენალტი გაუტანა მიშამ ცდკას მეკარე ლეონოვს. 1940 წ. 1 სექტემბერს — მოსკოვის „ლოკომოტივის“ მეკარე რაზუმოვსკის (2:2), ხოლო თავისი უკანასკნელი პენალტი — 1946 წლის 1 სექტემბერს, ძველ ნაცნობს, ნიკანოროვს (1:1).

ნიკანოროვს ახსოვდა, რომ წინა სეზონში ბერძენიშვილმა მას პენალტი მარცხნივ ძლიერი დარტყმით გაუტანა და იგი, ალბათ, საგონებელში იყო, რა მიმართულებას მისცემდა ამჟამად მიხეილი ბურთს. ბერძენიშვილმა თავისი საფირმო მზაკვრული დარტყმით გაგზავნა ბურთი მარჯვენა კუთხეში. ნიკანოროვმა, თუმცა იგი მაინც გადაიხარა მარცხნივ, მოასწრო შემობრუნება და თითქმის მისწვდა მარჯვნივ გაგზავნილ ბურთს, მაგრამ მხოლოდ თითქმის.

დაბოლოს, კიდევ ერთი ამჯერად ნამდვილად უკანასკნელი პენალტის შესახებ, რომელიც 1960 წლის 5 დეკემბერს გათამაშდა. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ეს იყო „დინამოს“ ვეტერანების ამხანაგური მატჩი თბილისის „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ, რომელიც „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა. მე სპეციალურად ვუდარაჯებდი ბერძენიშვილის თერთმეტმეტრიანს და მეორე ნახევარში, როგორც იქნა, მართლაც, დაინიშნა პენალტი. უმალვე ტრიბუნიდან ჩავირბინე მოედანზე და კარს უკან დავდექი. იქნებ ახლა მაინც ამოვიცნომეთქი ბერძენიშვილის საიდუმლო. პენალტი ძველი სცენარით შესრულდა: გრძელი გამორბენი, მარცხენა კუთხეში დარტყმის მკაფიო იმიტაცია, რაც ჩემი პოზიციიდან კიდევ უფრო ნათლად ჩანდა, ვიდრე ტრიბუნიდან — მეკარესთან ერთად მეც უნებურად მარცხნივ გადავიხარე, ბურთი კი... თუმცა მკითხველმა ისედაც იცის, საით შეგორდა იგი.

**გულბათ ტორაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ათენი-2004

# ტყვიას ტყვიაში აჯენს

(მეშვიდე გვერდიდან)

**— და ამაგი მამას ოლიმპიური ჩემპიონობით დაუფასეთ...**

— მართლაც, ფეხბედნიერი აღმოჩნდა ჩემთვის 1988 წელი, თუმცა, წინააღმდეგობებით სავსეც. მაშინ საკავშირო ჩემპიონატი მოვიგე ყველა დისციპლინაში, მაგრამ, ევროპის ჩემპიონატზე მაინც არ წამიყვანეს — ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობაზე გამამწესეს. იქაც ყველა დისციპლინაში გავიმარჯვე, თანაც თანაგუნდელებს 11 ქულით ვაჯობე. შედეგების გათვალისწინებით, საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ოლიმპიურ ნაკრებში ჩავერიცხე. სეულში კი, მოგეხსენებათ, თითო ოქროს და ვერცხლის მედალი მოვიპოვე. სპორტული პისტოლეტით ასპარეზობისას მე და იუგოსლაველი იასნა სეკარიჩი ფინალში თანაბარი ქულებით შევედით, სწრაფ სილუეტზე მე უკეთ ვისროლე და ჩემპიონი გავხდი. იასნას მესამე ადგილი ხვდა.

პნევმატური პისტოლეტით პაექრობისას ძირითად ვარჯიშში 400-დან 390 ქულა მოვაგროვე, რაც მსოფლიო რეკორდს აღემატებოდა. იასნა ქულით ჩამომრჩა. ფინალშიც კარგად ვისროლე, მაგრამ აქ უკვე მეტოქემ ოდნავ მაჯობა და „ოქროც" მას ერგო. მართალია, გულდასაწყვეტია, მსოფლიო რეკორდსმენი ჩემპიონობას რომ დათმობ, მაგრამ იასნასთვის ის პირველი ადგილი ალალი იყო, რადგან მრგვალ სამიზნეზე მაჯობა.

**— მეტოქეობის მიუხედავად, მგონი, თქვენ და იასნა მეგობრობთ.**

— დიახ, 1985 წლიდან. მეტოქეები კი ვართ, მაგრამ პირველები ვულოცავთ ერთმანეთს წარმატებას. წარუმატებლობის შემთხვევაში, ერთმანეთს ვამშვიდებთ კიდეც. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტული პისტოლეტით ასპარეზობისას ფინალამდე მეორე შედეგი მქონდა. იქ კი, დღემდე არ ვიცი, რა მოხდა — 10 გასროლიდან 2 ტყვია „რვიანში" მოხვდა, ორიც — „შვიდიანში". ასეთი რამ არასდროს მომსვლია. საბოლოოდ მე-8 ადგილზე გავედი. სასროლეთიდან ოლიმპიურ სოფელში ავტობუსით რომ ვბრუნდებოდით, იასნა გვერდით იჯდა და მამშვიდებდა — მეც ორი მედალი დამიგეგმეს, მაგრამ, ხომ ხედავ, შინ ხელმოცარული ვბრუნდები, გული არ გაიტეხო, ჩვენ კიდევ ავალთო კვარცხლბეკზე.

**— სეულის ოლიმპიური თამაშების გარდა, კიდევ რომელი შეჯიბრება გქონდათ დასამახსოვრებელი?**

— 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სარაევოში. ისეთ ხმაურსა და ღრიანცელში მოვიპოვე პირველი ადგილი, რომ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, საშინლად დაღლილს, ლაპარაკის თავიც არ მქონდა.



1999 წელს მიუნხენში მსოფლიოს სუპერთასი მოვიგე. იქვე შერეული ტურნირიც გაიმართა ქალთა და ვაჟთა შორის ოლიმპიური სისტემით. ბოლოს სამნი შემოვრჩით შეჯიბრებას. ჩემს მარცხნივ ტაო ლუნა ისროდა, მარჯვნივ უანგი — ჩინელები, რომლებმაც სიდნეიში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს. მიუნხენში ორივეს ვაჯობე და მთავარი პრიზიც მე შემხვდა.

**— წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე რას იტყვით?**

— სპორტული პისტოლეტით შეჯიბრებას პლაზენმა (ჩეხეთი) უმასპინძლა. თითქოს ურიგოდ არ მისვრია, მაგრამ სხვებს უკეთესი შედეგი ჰქონდა. მე და ალბანელმა ლინდიტა კორდამ ერთნაირი ქულა დავაგროვეთ ფინალში. დამატებით ცდაზე მე „ათიანში" მოვარტყი, ალბანელის ნასროლი 10,2 ქულით შეფასდა და მესამე ადგილიც მას ხვდა, თუმცა, მოგვიანებით შემოწმებისას ალბანელი სპორტსმენები დოპინგის მიღებაში ამხილეს და დისკვალიფიკაცია მისცეს. შვედეთში პნევმატური პისტოლეტით სროლაში ევროპის ჩემპიონატზე რომ ჩავედი, იქ მომილოცეს ბრინჯაოს მედალი. პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, ბულგარელი მარია გროზდევა და გერმანიის სახელით მოასპარეზე მონღოლი დორისურენ მუნკბაიარი გავიდნენ. დოპინგისთვის ალბანელების დასჯამ იასნა სეკარიჩს ოლიმპიადის საგზური მოუტანა.

**— ცნობილია, რომ ტყვიის სროლაში მხოლოდ ჩუბინი ვერაფერს გახდება, იარაღი თუ არ უვარგა. ამ მხრივ როგორ გაქვთ საქმე?**

— მსროლელს იარაღი, მართლაც, სანაქებო უნდა ჰქონდეს, სხვაგვარად წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. მართალი გითხრათ, პისტოლეტებს არ ვუჩივი, მაგრამ ზოგჯერ მასაც უმტყუნია.

კარგა ხანს „მორინის" ფირმის შვეიცარიული სპორტული პისტოლეტით ვისროდი, ახლა ისევ გერმანულ „ფაინვერბაუს" დავუბრუნდი. აი, პნევმატურში კი ავსტრიული „შტაიერ მანლიხერი" წლების განმავლობაში უღალატოა და მომავალშიც ამ პისტოლეტით ვიასპარეზებ. საერთოდ, „მანლიხერის" წარმომადგენლები დიდად გვეხმარებიან. მახსოვს, 1995 წელს ფინეთში გავემგზავრეთ ევროპის ჩემპიონატზე. ვიბორგის საბაჟოზე რუსებმა პისტოლეტები არ გაგვატანეს და ჰელსინკში უიარაღოდ ჩავედით. ფირმის მესვეურებმა ეს რომ შეიტყვეს, გუნდის სამივე წევრს ახალთახალი პისტოლეტები მოგვიტანეს. შეჯიბრების შემდეგ ორი იარაღი საჩუქრად დაგვიტოვეს, არადა, თითოეული 1200 დოლარზე მეტი ღირდა.

წლეულსაც „მანლიხერმა" და „ფაინვერბაუმ" ორ-ორი პისტოლეტი უსასყიდლოდ გადმოგვცა. ვეცდები, ორივე ფირმის მესვეურთა და ჩემი ქომაგების ავანსი გავამართლო.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— ელადის მიწაზე მეხუთედ ვიასპარეზებ ოლიმპიურ თამაშებში. ძალიან მინდა, კიდევ ერთხელ ავიდე კვარცხლბეკზე, თუმცა, ეს არც ისე იოლი იქნება, რადგან ბოლო წლებში კონკურენცია ერთობ გაიზარდა: სხვადასხვა ქვეყანაში გამოჩნდნენ ნიჭიერი, ძლიერი ჩუბინები, რომლებთან გამკლავებას სერიოზული მომზადება სჭირდება. ივნისში მსოფლიო თასზე ვიასპარეზებ, ივლისში — არმიელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და ოლიმპიური ფონდის იმედი მაქვს.

*როგორც ვხედავთ, ჩვენი ნინო, მართლაც, მოუსვენარი, შეიძლება ითქვას, მოუღლელი ქალბატონია. სასროლ იარაღთან ესოდენ გაშინაურებულს, გული კვლავაც საასპარეზოდ მიუწევს. ახლა წარმოვიდგინოთ, რა შრომა და ჯაფა ჰქონია უკვე ოთხი ოლიმპიური თამაშების აქტიურ მონაწილეს, ჩემპიონს და პრიზიორს, რამდენი ქვეყნის სასროლეთზე უსახელებია თავი. „რკინის ხელისა" და არწივის მზერის პატრონი უკვე მეხუთე, ამჯერად ათენის ოლიმპიადის დალაშქვრას აპირებს.*

ვაჟა დანელია.

სფფ-ში

# საშაბათო აღმასკომი

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ინტენსიური სამუშაო დღე იყო — ჯერ სფფ-ს აღმასკომის სხდომამ გასტანა ორსაათნახევარს, ხოლო შემდეგ სფფ-ს ახალმა პრესატაშემ, ქალბატონმა ეკა გაბაშვილმა მიგვიწვია სფფ-ს თავკაცთა პრესკონფერენციაზე.**

ფედერაციის პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** განხილულ საკითხთა შესახებ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები გაგვაცნო: ქვეყნის ახალგაზრდულ (21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა) ნაკრებს გოჩა ტყებუჩავა გაუძღვება, 19-წლიანთა გუნდის დამრიგებლად ვახტანგ კოპალეიშვილი დაამტკიცეს, რომელმაც კენჭისყრისას კახი ცხადაძის კანდიდატურას აჯობა, ხოლო 17-წლიანთა ნაკრებს თამაზ კოსტავა გაწვრთნის.

შემდეგ სფფ-ს შეფი „თბილისი" — „დინამოს" ამასწინანდელი მატჩის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს შეეხო და განაცხადა: — უკვე დაზუსტებულია, რომ შეხვედრის მსაჯის კახა მესხის მობილურზე სამეგრელოს რეგიონული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის ცაცა შელიას მუქარის ზარი გაისმა. ვისი შეკვეთით მოქმედებდა იგი, ჯერჯერობით, ვერ მოგახსენებთ, რადგან მიუხედავად მოწვევისა, ბატონი შელია თბილისში არ ჩამოვიდა. ჩათვალეთ, რომ ამიერიდან იგი სამუდამოდ მოიკვეთება ფეხბურთიდან. ჩვენი სურვილია, ძალოვანმა სტრუქტურებმა ბოლომდე მიიყვანონ ეს საქმე. რაც შეეხება კახა მესხს, იგი სეზონის ბოლომდე „დაისვენებს".

პრესკონფერენციის დასასრულ სფფ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა **ანდრო აბაშიძემ** სფფ-ს ახალი სტრუქტურის პროექტი წარმოადგინა. გაუწყებთ, რომ ფედერაციის ვიცეპრეზიდენტებად რევაზ არველაძე და ალექსანდრე ჩივაძე ილვაწებენ.

გია პლატონიშვილი.

ათლეტიზმი


1

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## დარბაზში — ტყუპები

## IV ნაწილი—

ზაფხულის მოსვლას თავისი კორექტივები შეაქვს ათლეტიზმის მოყვარულთა სავარჯიშო პროგრამებში. კერძოდ, თუ ზამთარში ძირითადად წელისა და ფეხის კუნთებს ავარჯიშებენ, წოლჭიმსა და სხვა ძალისმიერ მოძრაობებს ასრულებენ, ივნისამდე უმთავრესად საკუთარ გარეგნობაზე იწყებენ ზრუნვას, რათა ზაფხულში ზღვაზე შალიფად ჩაცმულებმა დიდი ეფექტი მოახდინონ გარშემომყოფებზე კუნთების ზომითა და ფორმებით. ამ დროს ყველაზე ეფექტურია კარგად განვითარებული მხრის უგანიერესი კუნთები.

**დღეს გთავაზობთ მხრის უგანიერესი კუნთების დასამუშავებელ ვარჯიშებს 1984 წელს დაბადებული ტყუპი ძმების შალვა (სურ. 1, 3, 5, 6) და ზურაბ (სურ. 2, 4) სიყმაშვილების შესრულებით.**

**1. ცალი მხრიდან დამაგრებული შტანგის ამოწევა მუცელთან სიმძიმის შეხებამდე (სურ. 1). სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.**

**2. იგივე ვარჯიში ანალოგიური დანიშნულების ტრენაჟორზე (სურ. 2). სრულდება 4-6 მისვლა 8-10 გამეორებით.**

**3. ტრენაჟორის ბალიშზე მჯდომი ათლეტი მუცელთან შეხებამდე ეწევა ბლოკის ღერძს (სურ. 3). სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.**

**4. ბლოკის ღერძის ჩამოწევა მკერდთან შეხებამდე (სურ. 4). სრულდება 4-6 მისვლა 10-10 გამეორებით.**

**5. ბლოკის სახელურების ჩამოწევა მკერდის სიმაღლემდე (სურ. 5). სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით. ამ ვარჯიშის ბოლოს სასურველია შესრულდეს მუცლის კუნთების ვარჯიში.**

**6. სპეციალურ ან ჩვეულებრივ ორძელზე ფეხების მაღლა აწევა მართ კუთხემდე ან მეტად (სურ. 6). სრულდება 4 მისვლა 20-20 გამეორებით.**

ზურაბ ჭავჭანიძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.


2


3


4


5


6

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ხიდი

# როცა მეგობრობა ხელოვნების ენით საუბრობს...

## თურქი ჟურნალისტები ქვეყნის სამსახურში

ძალიან მჭიდრო კავშირში არიან თურქული გაზეთები საკუთარ ხალხთან. პრესა დაუფარავად ამხელს ყველა მანკიერებას, თუკი ასეთი არსებობს. მის მახვილ თვალს არ ეპარება არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა.

გაზეთი „ქოჯაიელი“ ყოველდღიური, მრავალტირაჟიანი, პოპულარული გამოცემაა ქოჯაიელის ვილაიეთში.

რედაქციაში 80 კაცი მუშაობს – სწორედ ამდენია ჟურნალისტებისა და ტექნიკური მუშაკების საერთო რაოდენობა.

ჟურნალისტები დილაადრიან გამოდიან ქალაქში, მოივლიან მას, გადაიღებენ და ჩაიწერენ ყველა საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას და მერე ბრუნდებიან რედაქციაში, სადაც დაძაბული მუშაობაა გაზეთის ნომრის მოსამზადებლად. აქ ყველაფერი კომპიუტერიზებულია და ყოველ ჟურნალისტს აქვს შესაძლებლობა იმუშაოს კომპიუტერზე.

ცალ-ცალკე ოთახშია განთავსებული სპორტის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების და სხვა რედაქციები.

ირგვლივ სიმშვიდეა და კარგი პირობებია შექმნილი ჟურნალისტების მუშაობისათვის, რომელთა მინიმალური ხელფასი 500 ამერიკული დოლარია.

ჩვენ მიგვიღო გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ნიგიზ ერკანმა. მისი სამუშაო კაბინეტი არცთუ ისე ფართოა. ჭიქა ჩაისთან ვისაუბრეთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე, ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე. აღვნიშნეთ თურქეთის დიდი როლი და დახმარება საქართველოსთვის კრიზისულ წლებში. ითქვა, რომ ძალიან ბევრი ქართული ოჯახი გადარჩა თურქეთიდან მცირე ბიზნესის წყალობით.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, თურქეთი მარტო სტამბოლის ბაზარი არ არის და აუცილებელია ჩვენს მეზობელთან უფრო მეტი კულტურული, მეგობრული ურთიერთობები. ამისთვის კი სრულ მზადყოფნას გამოთქვამს თურქული მხარე.

იზმითში ყოფნის დროს ჩვენს ბავშვებს არ მოშორებია ახალგაზრდა თურქი ჟურნალისტი გოგონა ილკაი დემირკურერი. მან ვრცელი რეპორტაჟები მიუძღვნა ქართველ ბავშვებს და ახლაც ჩვენი რედაქციაში დანახვა ძალიან გაუხარდა...

ხელმძღვანელობა ზრუნავს თავისი თანამშრომლების მომავალზე, – ახლა ილკაი დოქტორობისთვის ემზადება. ის სტაჟიორად მოვიდა ჩვენს რედაქციაში და ძალიან პერსპექტიკული ჟურნალისტია, – გვითხრა ნიგიზ ერკანმა.

ბატონმა მიხეილ გელიაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოში მოამზადოს დასაბეჭდად გაზეთი „მეგობრობა“, ბატონი ერკანი კი შეგვპირდა, რომ ამ გაზეთს, თუკი ის მომზადდება, დიდი სიამოვნებით დაბეჭდავს „ქოჯაიელის“ რედაქციაში...

მთელი იქ ყოფნის პერიოდში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებს ურიგებდა საქართველოში გამომავალ ჟურნალს „ხიდი“, რომლის გარეკანსაც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ფერადი პორტრეტი ამშვენებს. თურქები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ამ ქართულ-თურქულენოვან ჟურნალს.

დამშვიდობებისას „ქოჯაიელის“ რედაქტორმა ნიგიზ ერკანმა სამახსოვროდ გადმოგვცა კერამიკულ ფილაზე შესრულებული თურქეთის აღმაშენებლის – ათა-თურქის პორტრეტი.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ იხ. „სრ“ № 109.



ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲥᲝᲯᲐᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲘᲒᲘᲖ ᲔᲠᲙᲐᲜᲘ.

## შეხვედრა იქაურ თანამემამულეებთან

საინტერესო მოგზაურობიდან ძნელია, ყველაფერი აღწერო და მკითხველამდე მიიტანო. მაგრამ არ შემიძლია არ გადმოგცეთ ის ამაღელვებელი წუთები, რაც განვიცადეთ ჩვენს იქაურ თანამემამულეებთან შეხვედრისას.

იზმითის გარეუბანში, მთებში მრავალი ქართული სოფელია. დააკვირდით მათ სახელწოდებებს: მურღული, სირეთიე, გოშებე, მინეთე, ბალაბანი, კამფარა...

დერბენდ-ნუსრეთიეს რაიონში დაწყებითი სკოლის დირექტორია ადნან გუნდუსი, კაცი, რომელმაც იცის ქართული და იცის, რომ გვარად ბაბლიძეა, იმერხევიდან. – ჩვენს სოფელში ცხოვრობენ შარაბიძეები, ლაითიძეებიც... ქართველები ვართ და გვინდა დავუმეგობრდეთ საქართველოს რომელიმე სკოლას, თუკი გამოგვეხმაურებიან, – ამბობს იგი.

ერთი ღამე ანსამბლ „ფარის“ მოცეკვავეებმა მათ ოჯახებში გაათენეს. გაკვირვებული იყვნენ იმ სითბოთი, რომელსაც ეს ოჯახები იჩენდნენ მათ მიმართ.

ორი სახელდახელო კონცერტი გაიმართა სკოლის ეზოში. მთელი სოფელი მოჯარდა მის სანახავად, აქ იყო ამ სკოლის 200-ვე მოსწავლე. თვალზე ცრემლი ერეოდათ ჩვენი გოგო-ბიჭების მიერ შესრულებულ „მთიულურზე“, „ქართულზე“, „ფარიკაობაზე“...

ისინიც კი, ვისაც ქალაქში უკვე ნანახი ჰქონდა „ფარის“ გამოსვლები, ამოვიდნენ დერბენდ-ნუსრეთიეში მის ხელმეორედ სანახავად.

ქორეოგრაფების ფრიდონ ფაღავასა და ქეთინო მაზმიშვილის დიდი შრომა ჩანდა ამ ცეკვებში. მოხდენილად ცეკვავდნენ სოლისტები თამრიკო და ქეთი გედევანიშვილები, ლალი მაზმიშვილი, ანი მაზანაშვილი, თეონა ბესტავაშვილი, ცეცხლს ანთებდნენ ნორჩი მსახიობები თედო ბარჯაძე, გიორგი სუვორინი, ლევან ქოქაშვილი, თორნიკე კერესელიძე და სხვები.

სხვათა შორის, გაგვიმასპინძლდნენ ეროვნული ბლინით, რომელსაც თუ ზუსტად მახსოვს, „ლახმანჯოს“ ეძახდნენ: უსაფუარო თხელ ლავაშზე ასევე თხლად უსვამენ ხორცსაკეპში გატარებულ, ათასგვარი სუნელით შეზავებულ-მოხრაკულ ცხვრის ხორცს, რომელსაც შემდეგ გამოვნებით უნდა მოაყარო დაკეპილი მწვანილი, სალათი და რულეტივით გადაახვიო. საკმაოდ გემრიელია, რა თქმა უნდა, განუყრელ ჩაისთან ერთად...

... აჭარაში გამწვავებული სიტუაციის გამო ჩვენმა დელეგაციამ ვალე-ახალციხის გზით იმგზავრა. როგორც კი საბაჟოზე გადავედით, მაშინვე თურქეთის ტურისტული ფირმის „კავკას-ყარსის“ კომფორტულ ავტობუსში მოგვათავსეს და გადატკეცილ გზებზე მთელ დღე და ღამეს საკმაოდ მხიარულად ვიმგზავრეთ ბავშვებთან ერთად. ავტობუსში შესანიშნავად გვემსახურებოდნენ, გვიმასპინძლდებოდნენ ჩაით, ყავით...

ყარსში ჩასულებს იქ დაგვხვდნენ „კავკას-ყარსის“ დირექტორი ჯემალ სოიკანი, ფირმის მეპატრონე ერლოღან იაღჯი, რომელთაც ჩვენს ხელმძღვანელს აუწყეს, რომ მათ ძალიან სურთ მუშაობა საქართველოსთან ტურისტების გადმოსაყვანად. მათივე თქმით, ეს მომგებიანია მგზავრებისათვის, რადგან ფოსოფიდან სტამბოლამდე მგზავრობის ფასი ერთ კაცზე 45 დოლარია, სტამბოლიდან თბილისამდე კი – 40 დოლარი.

ფირმის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ მათ ამ საქმეში მხარს თვით ყარსის გუბერნატორი უჭერს.

ამ კოპწია ქალაქში დაგვათვალიერებინეს შერეული სახის სავაჭრო ცენტრი, რომელიც ორ სართულზეა განთავსებული. მისი მეპატრონე ათალა იაღჯი გვეუბნება, რომ – „თუ მაფია აღარ მუშაობს საქართველოში, ჩვენ შემოვალთ და ბევრ სასარგებლოს გავაკეთებთ. ოცკაციანი ბიზნესმენთა ჯგუფი კი მზად არის, თუკი თბილისის მერი მოგვიწვევს, ჩამოვიდეთ და ჩვენი გამოცდილება და დახმარება შევთავაზოთ ქართველებს“...

თურქეთში ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს ქვეყანა პირველად ვნახე და გამაოცა მისი მოქალაქეების პასუხისმგებლობამ თავიანთი სოფლის, ქალაქის მიმართ. ქალაქის სავაჭრო ცენტრებში, ძირითადად, მამაკაცები მუშაობენ. ახალგაზრდა ბიჭები კი დილით და საღამოს, სრულიად უკომპლექსოდ, ასუფთავებენ ქუჩებს. ქალები კი საკმაოდ თანამედროვედ გამოიყურებიან, ხშირად ჯინსებში გამოწყობილნი და ვატყობ, კარგ კოსმეტიკასაც ხმარობენ.

ქალაქში პოლიცია იცავს წესრიგს, სოფლებში ჟანდარმები, ანუ ჯარისკაცები. აქ ყველაფერი მათი მხედველობის არეშია მოქცეული და მათ ყველა პატივს სცემს.

საერთოდ კი, კანონიერება მკვიდრობს თურქეთში.

... გზადაგზა ზეთისხილის ბაღებია. საერთოდ, სოფლის მეურნეობა კარგადაა განვითარებული და ქვეყნის შიგნით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მოიხმარება. სურსათის ეკოლოგიურ სიჯანსაღეს ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სოფლებში ყოველ ოჯახს ჰყავს მინიტრაქტორი და ამიტომ მათი შრომა გაადვილებული და ნაყოფიერია. ლამაზი კვლებივით არის შეფენილი მოვლილი მიწის ნაკვეთები ფერდობებზე.

თურქები ნორმალურად ცხოვრობენ, კიდეც შრომობენ და ტრადიციებსაც არ ივიწყებენ – მუდამ პოულობენ დროს ჩაიხანაში დასვენებისთვის.

* * *

...ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ ვალეს საბაჟოზე. შემოგვეგებება წმინდა ნინოს ჯვარი. ეს უკვე ჩვენი სამშობლოა. უკან დარჩა თოვლიანი მთები და ბედნიერი ვართ, რომ ფეხი დავადგით, თვალი დავკარით წმინდა ნინოს მიერ გამოვლილ გზას.

მზიანი დღეები იდგა. ახალციხეში გლეხი მამაპაპური გუთნით და უღელი ხარით შესჭიდებოდა მიწას და ალალად იღიმებოდა. გული დამწყდა, რამდენი უნდა იწვალოს, რამდენი ოფლი უნდა მოუვიდეს, სანამ ერთ ჰექტარს მოხნავს... კიდევ ბევრ რამეზე დაგწყდება ადამიანს გული საზღვარსაქეთა ქვეყანაში, ჩვენს ლამაზ საქრისტიანოში: გზები ისეა ათხრილი, ორ საათს მოვუნდით ნახევარი საათის სავალ გზას ვალედან ბორჯომამდე. მერე გვეშველა, მაგრამ თავმოყვარე ადგილობრივი ხელმძღვარელი, ალბათ, უპირველესად, ამ გზას მიხედავდა, რადგან ჩვენ უკან უცხოელ ტურისტთა ავტობუსი მოგვდევდა და სირცხვილით ვიწვოდით...

საზღვრისპირა რაიონებს მართლაც სჭირდებათ მეტი ყურადღება. პირველი შთაბეჭდილება, ჩვენი სამხრეთი კარიბჭის შემხედვარეს, არ ექნება სახარბიელო, მაგრამ მოვიდა დრო, როცა ჩვენს კუთვნილ მიწაზე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისი აყვავებისათვის, რისი გაკეთებაც კი შეგვიძლია, რომ არ გავხდეთ სხვათაგან ზემოდან საყურებელი და დასაცინი...

მეზობლის გამოცდილება კი ჩვენთვის ბევრს უნდა ნიშნავდეს.

გზაში გაწვიმდა. მგზავრობით დაღლილ ბავშვებს ჩასძინებოდათ. ავტობუსის მძღოლს კი მაგნიტოფონი ჩაერთო, საიდანაც ისმოდა სიმღერის ხმა „სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“...

**სრული ჭეშმარიტებაა!**

ᲚᲘᲐ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲘᲖᲛᲘᲗᲘ-ᲧᲐᲠᲡᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.





ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲔᲡ.



ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲣᲦᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐᲐ.

წიგნი

## შეხვედრები კაფე „პარნასში“

ᲙᲐᲤᲔ „ᲞᲐᲠᲜᲐᲡᲨᲘ“ გაიმართა მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დაფუძნებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. საქართველოში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების ბიუჯეტიდან დაფინანსების პრობლემები. მძიმე სიტუაციაა ბავშვების, როგორც სასკოლო, ისე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის მომარაგების მხრივ. ამ პრობლემის გადასაჭრელად წიგნის მაღაზია „პარნასის“ ბაზაზე შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია – მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, რომელმაც მიზნად დაისახა, საბავშვო ლიტერატურის ახალი გამოცემებით განაახლოს ბიბლიოთეკები.

საბავშვო წიგნებისა და სახელმძღვანელოების პირველი პარტია გადაეცა გლდანის ბავშვთა სახლს – „რწმენა I“. მომავალ კვირაში დაგეგმილია კიდევ ორი საბავშვო სახლის წიგნებით უზრუნველყოფა. აღნიშნულ პროცესს მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მოწვევით მონიტორინგს უწევს საქართველოს განათლების სამინისტრო.

მომავალში მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების ცენტრი გეგმავს საინგილოს ქართული მოსახლეობის ქართულენოვანი წიგნებით მომარაგებას.

პრესკონფერენციაზე მოზარდთა ინტელექტუალური ცენტრის თავმჯდომარემ, ბატონმა მამუკა გერმანიშვილმა მადლობა გადაუხადა ფირმა „კოკა-კოლას“ და აშშ-ის საელჩოს დახმარებისთვის და თანამშრომლობა შესთავაზა სხვადასხვა დიდ ფირმებსა და კომპანიებს, საელჩოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში არსებული ყველა ბავშვთა სახლის ბიბლიოთეკებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად.

პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღო აშშ-ის კულტურისა და პრესის ატაშემ საქართველოში როინა ქროს-ნაჯაფმა.

კაფე „პარნასში“ იმ დღეს კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა – საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ ტრადიციას, ანუ ყოველ პარასკევს, 17 საათზე კაფე უმასპინძლებს ლიტერატურის მოყვარულთ, გაიმართება წიგნების პრეზენტაცია და საუბრები ლიტერატურაზე.

იქვე გაიმართა პოეტ გივი ალხაზიშვილის წიგნის პრეზენტაცია. **„სიტყვებში გახიზნული ფიქრი“** – ასე ჰქვია ამ წიგნს. მასში დაბეჭდილი ესეების უმრავლესობა ბოლო 15 წლის მანძილზე იბეჭდებოდა პრესაში. ნოველა-ესეების გარდა წიგნში მკითხველი გაეცნობა ბევრ საინტერესო მოსაზრებას ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე.

კრებული რამდენიმე განყოფილებისგან შედგება, რაც თემატურ მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს.

წიგნის ბოლოს დართული დიალოგები და ინტერვიუები ერთგვარი რეზიუმეა და წარმოაჩენს ავტორის ინტერესთა ფართო სპექტრს.

პრეზენტაციას დაესწრნენ მწერლები, პოეტები, ლიტერატურის მოყვარულნი. კრებულის შესახებ ისაუბრეს ლია სტურუამ, ტარიელ ჭანტურიამ, ცირა ბარბაქაძემ, ბესიკ ხარანაულმა, ანდრო ბუაჩიძემ.

გივი ალხაზიშვილს 26 მაისს 60 წელი უსრულდება და წინასწარ ვულოცავთ დაბადების დღეს.

ᲔᲙᲐ ᲮᲐᲩᲘᲣᲠᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“!

## ხსოვნის კულტურა



აკადემიკოსი ნიკოლოზ ყიფშიძე

# დღეები იოსებ სტალინთან ერთად

მაოცებდა ის დიდი ნდობა, რომელსაც სტალინი იჩენდა ჩემს მიმართ, არა როგორც ექიმისადმი, არამედ როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქისადმი. ეს ნდობა კვლავ განვიცადე, როდესაც სტალინი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროზე მესაუბრა. გავვოცდი, თუ რა შესანიშნავად ერკვეოდა სამინისტროს მუშაობის სულ სხვადასხვა საკითხში. ჩანდა, რომ უკმაყოფილო იყო ამ მუშაობით და მკითხა, ვის მისცემდით რეკომენდაციას ამ სამუშაოზე? ვუპასუხე, რომ არის ერთი მეტად კარგი კანდიდატი, რომელსაც პირადად არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ ნათელი წარმოდგენა მაქვს მის საქმიანობაზე საბჭოთა არმიის სამხედრო-სანიტარიულ სამმართველოში, ვიცნობ დიდ სამამულო ომში მისი იმ მუშაობის ყველა შედეგს, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულა, რადგან ჩვენი არმიისათვის უცხო იყო ინფექცია – ეს არის პირველი შემთხვევა ომების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ხოლო მწყობრში დაბრუნებულ დაჭრილთა და ავადმყოფთა პროცენტი ჩვენში ყველაზე მაღალია. ყველაფერი ეს მიანიშნებს კარგ და ნაყოფიერ საქმიანობაზე, აგრეთვე, ამ ადამიანის დიდ ორგანიზატორულ ნიჭზე. გარდა ამისა, მას დადებითად ახასიათებენ ის პირნი, რომლებიც პირადად მშვენივრად იცნობენ და რომლებსაც, როგორც ჩემ მეგობრებს, მთლიანად ვენდობი. ეს კაცი გახლავთ ე.ი. სმირნოვი, მაგრამ



ერთი ნაკლიც აქვს – ძნელია მისი შეცვლა სამხედრო-სანიტარიული სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. იგი ხომ იქ დიდი ხანია მუშაობს, და, რაც მთავარია, უმწიკვლოდ. ამაზე სტალინმა შენიშნა: „განა არ გსმენიათ ასეთი გამოთქმა – ეძიებდე და პოვებდეო. თანაც გორის სასულიერო სასწავლებელი დაგიმთავრებიათ. მოვძებნით და ვიპოვით მის შემცვლელ ადამიანს“.

ამ საუბრის შემდეგ ორი თვე გავიდა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობაზე ე.ი. სმირნოვი დანიშნეს. გამოგიტყდებით, ამ დანიშვნით მეტად კმაყოფილი ვიყავი, იმიტომ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სათავეში ჩაუდგა მეტად ნიჭიერი კაცი და გონიერი ორგანიზატორი. ეს ერთი. მეორეც, რეკომენდაცია, რომელიც სტალინს მივეცი ე.ი. სმირნოვის შესახებ, მთლიანად გამართლდა და ამდენად, სტალინის ნდობაც გავამართლე. მთელი რიგი წლების განმავლობაში ე.ი. სმირნოვი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობაზე. ჩემი აზრით, იგი ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ყველაზე გამრჯე მინისტრი იყო. შემდგომ ე.ი. სმირნოვს საქმიან ვიზიტად მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მაგრამ სტალინთან მასზე ჩემი საუბრის ეპიზოდის გამო არასდროს და არსად მილაპარაკია.

ამ ეპიზოდიდანაც ჩანს, თუ როგორ და ყოველმხრივ სწავლობდა სტალინი ამა თუ იმ კანდიდატურას ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებისას. კიდევ ერთხელ გვაოცებს, სად პოულობდა დროს, რათა დიადი საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა საკითხში საქმიანი მონაწილეობა მიეღო, როგორც ჩანს, უიმისოდ ერთი საკითხიც არ წყდებოდა.

როდესაც სტალინი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საქმეებზე მესაუბრებოდა, შეეხო ექიმის ეგრეთ წოდებული კერძო პრაქტიკის საკითხს, ამ დროს ოთახში შემოვიდნენ ა.ა. ჟდანოვი, ა.ნ. პოსკრებიშჩევი და კ.ნ. ჩარკვიანი. სტალინმა მათი თანდასწრებით მითხრა: „კერძო პრაქტიკა არ უნდა აიკრძალოს“. მის აზრს უმალვე მხარი დაუჭირეს ა.ა. ჟდანოვმა და კ.ნ. ჩარკვიანმა. პოსკრებიშჩევმა შენიშნა, ამას მოსკოვში ზოგიერთი ქირურგი ბოროტად იყენებსო. ისინი ავადმყოფებს შინ უთანხმდებიან, მერე თვითონვე აკეთებენ ოპერაციას და დიდ ფულსაც იღებენ. საუბარში ჩავერიე და შემდეგი განვაცხადე: ასეთი ამბები ხდება არა მარტო მოსკოვში, არამედ სხვა ქალაქებშიც, მაგრამ ეს ერთეული, საკმაოდ იშვიათი შემთხვევებია. მათ განვიხილავ, როგორც პრაქტიკის ხაზის გამრუდებას. ჩემი აზრით, განვაგრძე მე, მთავრობა კერძო პრაქტიკას იმიტომ ეთანხმება, რომ საშუალება მისცეს მოსახლეობას მცირე თანხის საფასურად მიიღოს რჩევა და დახმარება იმ ექიმისგან, რომელსაც ავადმყოფი ყველაზე მეტად ანდობს თავის ჯანმრთელობას. ხომ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საქმეში ექიმისადმი რწმენას, მისი ავტორიტეტის აღიარებას. თანაც კერძო პრაქტიკის არსებობა მატერიალურ მდგომარეობას უუმჯობესებს ექიმებს, რომლებსაც საერთოდ გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვთ, ვიდრე სხვა დარგის სპეციალისტებს, ვთქვათ, ინჟინრებს, პედაგოგებს, აგრონომებს და სხვებს. გასაგებია, რომ ექიმების დაბალი ხელფასი, ჩემი აზრით, ეხებოდა ექიმთა იმ დიდ ჯგუფს, რომლებიც პედაგოგიურ საქმიანობას არ ეწეოდნენ. ექიმი-პედაგოგები საშუალო სკოლებში, განსაკუთრებით კი უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში, საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებენ. ამიტომ ისინი სრულებითაც არ მყავს მხედველობაში, რადგან უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენენ. მე ვგულისხმობდი ექიმთა საერთო მასას და ამის თაობაზე სტალინს შესაბამისი ახსნა-განმარტება მივეცი. სტალინი ყურადღებით მისმენდა და ზემოთ ნახსენები ამხანაგების თანდასწრებით კვლავ გაიმეორა: „სავსებით სწორია, კერძო პრაქტიკა არ უნდა აიკრძალოს. ასეთ დამახინჯებებს კი თვითონ თქვენ, ექიმებმა, თქვენს კრებებზე უნდა განიხილოთ და ებრძოლოთ“.

სტალინს უყვარდა მოგონებანი თანასკოლელ ამხანაგებზე. ჩემი იმ შეკითხვის პასუხად, თუ რით შეიძლება აიხსნას, რომ არც ერთი მისი თანაკლასელი როგორც გორის სასულიერო სასწავლებლიდან, ისე თბილისის სასულიერო სემინარიიდან, რომლებშიც სწავლება ახლანდელი არასრული და სრული საშუალო სკოლების დონის მოცულობით მიმდინარეობდა, მომავალში მეტად თუ ნაკლებად ცნობილი სპეციალისტი ან საზოგადო მოღვაწე ვერ გახდა, სტალინმა მომიგო, რომ მხოლოდ ერთი, მ. დავითაშვილი, გამოვიდა მსხვილი პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ, სამწუხაროდ, ადრე დაიღუპა. იმავდროულად ერთი კურიოზული შემთხვევა მიამბო. იმ დროს სტალინს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჰყავდა ამხანაგთა წრე, რომლებთანაც ერთად სისტემატურად სწავლობდა მარქსიზმის საკითხებს. წრეში შედიოდა ყველა მოზრდილი აღსაზრდელი 18-20 წლის ასაკისა, უფრო მეტისაც. წრის ერთ-ერთ წევრს სტალინმა ვერანაირად ვერ გააგებინა, რომ არავითარი იმქვეყნიური ცხოვრება არ არსებობს, რომ ამბობენ თითქოს არის სამოთხე და ჯოჯოხეთი, – ეს ღვთის მსახურთა გამონაგონია. ერთ დღეს სტალინთან მიირბინა მისმა მსმენელმა და ახარა: დიდხანს ვიფიქრე და ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, არანაირი ჯოჯოხეთი არ არსებობსო. სტალინის კითხვაზე, ამიხსენი, ეს როგორ? მსმენელმა თავისებურად განუმარტა: წრეში მეცადინეობისას გვითხარი, ჯოჯოხეთში დღენიადაგ ცეცხლი ანთიაო. მითხარი, გეთაყვა, აბა, სად იპოვიან იმდენ შეშას, ცეცხლი რომ ჩაუქრებლად გიზგიზებდეს? სტალინი ამ ამბის თხრობისას ხარხარებდა. ასე გაიხსენა სტალინმა თავისი ნაკლებნიჭიერი მსმენელი და დაინტერესდა, ნეტავ, ცოცხალი თუ არის და რას საქმიანობსო. მოახსენეს: ცოცხალია და ერთ-ერთ რაიონში ბუღალტრად მუშაობსო. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი განვითარებით ამას იქით წინ ვერ წაიწია ახალგაზრდობის წლებში სტალინის წრის ერთ-ერთმა მსმენელმა.

ჩემთან საუბარში სტალინმა გაიხსენა სამი ცნობილი ქართველი მწერალი – კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე. პირობა ჩამომართვა, თბილისში რომ ჩავიდოდი, გამსახურდია მენახა და გადამეცა სტალინის აზრი, შეეწყვიტა ისეთი ნოველების წერა, ჩვენს ახალგაზრდობაზე გამხრწნელ გავლენას რომ ახდენენ.

თბილისში ჩამოსვლისას, გასაგებია, უმალვე ვინახულე გამსახურდია და სტალინის დავალება შევასრულე.

კონსტანტინე გამსახურდიამ ორიგინალურად მიპასუხა: უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ სტალინი ჩემ ნაწარმოებებს კითხულობს. რაც შეეხება ნოველებს, რომლებსაც ძველ დროში ვქმნიდი, უნდა ვთქვა, დიდი ხანია უკვე აღარ ვწერ და შემდგომშიც, მით უმეტეს, არც დავწერ იმ სულისკვეთებით, როგორც ამას წინათ ვშვრებოდი. გამსახურდია ერთ-ერთი ნიჭიერი და განათლებული ქართველი მწერალია, ავტორია მთელი რიგი ისეთი დიდი და საინტერესო ნაწარმოებებისა, როგორიც არის „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვ. მან, მართლაც, შეასრულა თავისი სიტყვა სტალინის სურვილის სულისკვეთებით. მართალია, ჩვენმა კრიტიკოსებმა სულ ახლახან უსაყვედურეს ენობრივ საკითხებში, მაგრამ ისეთი ნიჭიერი კაცი, როგორიც გამსახურდია გახლავთ, ამ ხარვეზებს იოლად გამოასწორებს.

როდესაც სტალინი იოსებ გრიშაშვილზე მესაუბრებოდა, გაიხსენა პოეტის მიერ თავისი ლექსის ესტრადიდან კითხვის მანერა, რომელსაც მან მღერადობა უწოდა, და სპეციალური ქართული ტერმინიც კი ახსენა. მაგრამ ვერ გავიგე და შეკითხვის განმეორება მომეხათრა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 102-109.

## ინფორმაცია

### ფაქტი უკვე გახსნილია



პარლამენტარ კახა დიუაშვილის მკვლელობის მცდელობის ფაქტი უკვე გახსნილია. ამის შესახებ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გამართულ პრესკონფერენციაზე ქალაქის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა განაცხადა.

გრიგალაშვილმა კატეგორიულად გამორიცხა დანაშაულის პოლიტიკური მოტივი და აღნიშნა, რომ ეს უფრო ანგარიშსწორება იყო. მისი განმარტებით, უკვე დაკავებულია დანაშაულში ეჭვმიტანილი – 27 წლის დავით მინდაძე და შემკვეთები – ძმები მიხეილ და ვოვა ნემსიწვერიძეები.

როგორც გრიგალაშვილმა აღნიშნა, დაკავებულებმა აღიარეს დანაშაული და მათ, სავარაუდოდ, 10-დან 20 წლამდე პატიმრობა, ან სამუდამოდ თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ინფორმაცია მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

## განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინდ. მეწარმე „ვანოს“ მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

„ვალეს ინერტული მასალების საბადოს დამუშავების ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი“.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 1 ივლისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში — თბილისი, კოსტავას № 68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში — თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 1 ივლისს 12 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მემკვიდრეობა

# ბარათები სიყვარულზე

## ნაკლებად ცნობილი კონსტანტინე გამსახურდია

**მომდევნო ბარათში წერს: „17-ში მე და მარგო სამხატვრო თეატრში მივალთ. ერთი ესთეტიკური საღამო უნდა გავატაროთ ერთად“.**

ვერც მოსკოვში ძლებს და საქართველოში ჩამოდის.

...1914 წლის 13 აპრილს კონსტანტინე გამსახურდია და რებეკა ვაშაძე ჭიათურის ახლოს – შუქრუთის წმინდა მარინეს ეკლესიაში იწერენ ჯვარს და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში მიემგზავრებიან. ახლადდაქორწინებულებს მიუნხენში აპატიმრებენ. ჯერ კიდევ 1913 წლის კანონის თანახმად, რუსეთის მოქალაქეებს თურმე გერმანიაში სწავლა ეკრძალებოდათ, შეეძლოთ მხოლოდ თავისუფალი მსმენელები ყოფილიყვნენ. ომმა კი ეს უფლებაც მოსპო. ამას ემატებოდა ისიც, რომ ახალგაზრდა ქალს სახელიც და მამის სახელიც ებრაული ჰქონდა... ძლივს დაარწმუნეს თურმე ადგილობრივი ხელისუფლება, რომ რებეკა ებრაელი არ იყო და ქრისტიანმა მამამ – ეკლესიის მსახურმა, თავის შვილებს ბიბლიური სახელები დაარქვა... როგორც უფროსთაგან მსმენია, მამიდა გემის მოსამსახურედ გააფორმეს და ასე ფარულად ჩამოიყვანეს სამშობლოში.

მომხდარით თავზარდაცემული ქალი ტრაუნშტაინის ბანაკში (სადაც კონსტანტინემ ექვსი თვე დაჰყო), სისტემატურად უგზავნიდა მეუღლეს ფულს, ვაჟი კი ცდილობდა, როგორმე დაემშვიდებინა იგი: **„მე ძლიერ კარგად ვარ. საქმე არა მაქვს რა“**, თუმცა იქვე ამ შემართებას სევდიანი ნოტა ცვლიდა: **„საშინლად დავიღალე – ჩემო საყვარელო გოგო, აბა შენ იცი, კარგად თუ დამხვდები. იცი რა, არ მინდა ძველი წერილებივით ვწერო, არ მინდა ტკივილები ავიშალო. ოჰ, საშინლად მტკივა გული – ... აბა შენ იცი, თუ კარგად დამახვედრებ ყველას და ყველაფერს, რაც მე მიყვარდა.**

**...მე ხანდახან ვეცემი ჩემ ჩალის ლოგინზე და ვლოცულობ, ვლოცულობ, რომ ღმერთმა, უფალმა შენი წერილები მაღირსოს... ხშირად ძალზე საინტერესო მომენტებს განვიცდი, ხშირად ძლიერ მწარე წამებსაც – ალბათ, ოდესმე ბოლო ექნება ამ წვალებას“.**

და აი, პატიმრობიდან განთავისუფლებული, ბერლინში, ძმები ჰუმბოლდტების უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მაგრამ მისი აფორიაქებული სული იქ მხოლოდ ერთი სემესტრი სძლებს და ჯერ ლოზანაში მიემგზავრება, შემდეგ კი ჟენევაში, სადაც ქიმიის ფაკულტეტზე ეპირება შესვლას. აი, მაშინდელი ბარათიც: **„ჩემო ძვირფასო რევა! შენმა წერილმა სული ჩამიდგა. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, ჩემო გოგონა, ვარ ახლა უკეთ, საგრძნობლად გამოვკეთდი – შენი წერილების ცდამ სული ამომართვა. რამდენი ხანია, გენაცვალე, აღარ მინახავხარ, რამდენი ჯავრი და დარდი გადამხდა, რამდენი უბედურება, ენით ვერ აგიწერ...**

**გადაწყვეტილი მაქვს, ქვეყანაც რომ დაიქცეს, მაინც გავათავო უნივერსიტეტი. აბა შენ იცი, თუ ხელს შემიწყობ ამ ენით აუწერელ გაჭირვებისას – შენს მეტი ვინ გამაჩნია ქვეყანაზე, გენაცვალე! – ამას წინათ შენი ბავშვობის სურათი ვნახე ჩემს უბის წიგნაკში და რამდენი სიხარული მოეფინა ჩემ სულს, ამ უბრალო მოგონებისგან. – დარდი და უბედობა მე არ მომცილებია იმ დღიდან, რაც შენ გაგშორდი, მაგრამ რა ვქნა, რა ვიღონო. ომი გათავდება და ენახავთ ერთმანეთს, გენაცვალე. აბა, რევა, შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ კარგად იქნები“.**

1916 წლის ბოლოს კონსტანტინე უკვე სამშობლოშია, რებეკა კი ამ დროს ჭიათურის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგია (მოადგილე), დეპუტატობის კანდიდატი, ცნობილი პედაგოგი და დიდი მოამაგე კულტურისა. მისი სახელი არცთუ იშვიათად ჩნდება ფედერალისტური პრესის ფურცლებზე. როგორც მწერლის ერთ-ერთი ბიოგრაფი მოგვიანებით აღიარებს, „რომ არა რებეკა, მაშინ მწერალი ვერც მატერიალურ დახმარებას მიიღებდა და ვერც საუნივერსიტეტო განათლებას. პრესის ფურცლებსაც არავინ დაუთმობდა“.

...1918 წლის 30 მაისს რებეკა ვაშაძესა და კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილი შეეძინათ. რამდენიმე თვის შემდეგ, სწავლის დასასრულებლად ვაჟი კვლავ გერმანიაში გაემგზავრა. ჩემი აზრით, წერილი, რომელსაც არც თარიღი აქვს და არც მისამართი, სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება (იქნებ ჟენევურსაც?!). უზიარებს რა მეუღლეს თავის კრიტიკულ აზრს ერთ საერთო ნაცნობ ქიმიკოს ქალზე, საყურადღებო მოსაზრებებს აყალიბებს მშვენიერ სქესზე და საერთოდ დედის როლზე: **„შენც დამეთანხმები, ჩემო კარგო, ქალს ყველაზე უწინ ესთეტიური განათლება სჭირდება, რომ შვილები აღზარდოს და არა საპარლამენტო სიტყვებზე იყბედოს. და თუ სუფრაჟისტკებსა და ჩვენ ქალაბიჭა კურსისტკებს ვკითხავთ, ისინი წინააღმდეგი არიან დედობისა. რა გაეწყობა – ანტინატურალური ცხოველები აბა რას გაიგებენ ამ დიად საიდუმლოებით მოსილ სიკვდილ-სიცოცხლის საოცარ კვანძს. იმათ, ჩემო კარგო, ერთი პატივცემული პროფესორის არ იყოს, მაპატიე, შენთან ამას ვიტყვი, მაგრამ, გადაჭარბებულმა სექსუალობამ წარუკვეთა შვილის ყოლის იმედი. ერთხელ და სამუდამოდ დაგვიმტკიცა დიდებულმა ილიამ, რომ ვინც ბუნების წინააღმდეგ მიდის, მას ბუნებისვე სასტიკი ხელი კისერს მოუქცევს. როგორ გგონია შენ, ასეთი ქალები იქნებიან ბედნიერნი, თუგინდ ლორდების პალატაში წამოსკუპდნენ, იმდენი უფლებები შეიძინონ. მე გეტყვი – არასოდეს! რადგან ისინი ვერ იგრძნობენ იმ უდიდესი ბედნიერების ნასახს, რომელიც მე დღეს უბრალო მწვანე კონვერტის დანახვაზე განვიცადე ან კიდევ შენ, როცა შორაპნის სადგურზე შეხედე ისეთ ადამიანს, რომელიც მე მგავდა. და არასოდეს ისინი დედობრივ გრძნობას ვერ განიცდიდნენ, რაც მე მგონია ერთი უდიადესი საიდუმლოებათაგანი ამ დიადსა და მართლაც საიდუმლოებით მოცულ მსოფლიოს რთულ ლაბირინთში. აი, რატომ არ მიკვირს, რომ შენ ჩემზე უკეთესად გესმოდეს გაბრიელ დე ანუნციოს ღვთაებრივი სტილი, შენ რომ ჩემზე უკეთ იცოდე შექსპირის სიდიადე, დოსტოევსკის სიღრმავე, შოთას სიბრძნე და ვაჟას ფოლადის რითმის ნაჭედი ლექსი. და ბოლოს, შენ ჩემზე უკეთ იცნობდე რუსსოს აღზრდას – ეს არამც თუ სასურველია, არამედ საჭიროც.**

**რაც შეეხება უფლებებს, ჩემო სიყვარულო, შენ გენაცვალოს ჩემი და**



რებეკა ვაშაძე.



კონსტანტინე გამსახურდია.

**შენი, და ბოლოს, ქვეყნის უფლებაც.**

**განა მე შემიძლია არ მიყვარდეს ის, რაც შენ გიყვარს? და არ მინდოდეს ის, რაც შენ გსურს? სასაცილო იქნება.**

**აგერ ჩემ წინ გახეული ლურჯი კონვერტი დევს, მარტო იმას არ გავცვლიდი მეფეების უფლებით აღჭურვილ „ღრამოტებზე“ და „უკაზებზე“. ხა, ხა, ხა... რამდენი ვებაასე ჩემს გადარეულ გოგოს.**

**აბა, ქალბატონო, უფლებას მოგართმევ! შენ ჩემი კანონიერი ცოლი ხარ. მოვალე ხარ, მარტო მე გიყვარდე“.**

აღარ დასრულდა ოდისეა: ერთი წლის შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნდა და მეუღლეს განუცხადა: ბავშვთან ერთად გერმანიაში გაჰყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო – ძუძუთა ბავშვით გაუჭირდებოდა სხვა ქვეყანაში ცხოვრება და თანაც, ქალის მეხსიერებიდან ჯერაც არ ამოშლილიყო ხუთი წლის წინანდელი ის საშინელი შთაბეჭდილება, რაც მათ საქორწინო მოგზაურობას მოჰყვა. გულდაწყვეტილმა ჭაბუკმა მტკივნეულად განიცადა მეუღლის უარი. ვფიქრობ, მაშინაა დაწერილი ეს უთარიღო წერილიც:

**„რებო! შენ ისე უდროოდ წახვედი, რომ ჩვენ ბოლოს და ბოლოს ვერაფერი გამოვარკვიეთ. მე ისე დაფლეთილი მაქვს გული ტკივილებისაგან, ისე მაგარია ის უხილავი ძარღვები, რომელნიც მე შენთან და ჩემ სიჭაბუკესთან მაკავშირებს, რომ სრულიად უმწეო ვარ ქირურგივით მოვიქცე და ერთის დაკვრით მოვუღო ბოლო იმ საშინელ გამოურკვევლობას, რომელიც ჩემი აზრით, დაბადების დღიდან თან დაჰყოლია ჩვენს სიყვარულსა და მეგობრობას.**

**ერთსა გთხოვ, ვიდრე რამეს გადასწყვეტდე: დარჩი ფხიზელი, ამაღლდი ტრივიალურ გაცვეთილ მორალზე და მახლობელთადმი კომპრომისებზე აიღე ხელი. მე პირადად არც ჩემსა და არც შენ მახლობელთადმი, იცოდე, იოტისოდენა კომპრომისს არ გავწევ. მე ვფიქრობ, ვიდრე კიდევ სულით ძლიერნი და ახალგაზრდანი ვართ, დავადგეთ გარკვეულ გზას. მე ყოველ შემთხვევაში შენ საუკეთესო მეგობრად მიგულე. ყოველი ადამიანი ყოფილა ალბათ ისეთ მორალურ ჩიხში, რომელშიაც მე და შენ დღეს ვიმყოფებით.**

**...შენი ტანჯვის მოზიარე მე მარად ვიქნები. ეს ფილანტროოპია როდია. შენ თვალებში მე მეგულება ჩემი მზეგადაცვლილი სიჭაბუკე. შენ ტყუილა გგონივარ მე ტლანქი ეგოისტი. ნეტავ მოეცა ჩემთვის განგებას ისეთი ენა, რომლითაც მე ჩემი სულიერი ტკივილების გადმოცემა შემეძლოს...**

**გთხოვ, გონივრულად იმოქმედო ორივეს ინტერესებში. ამას გეუბნები იმიტომ, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულო კრიტერიუმი შენ თვითონ გამოსძებნო და იცოდე, მე რაც ჩემი ღონისძიებისაგან იქნება დამოკიდებული, ყველაფერში მხარს დაგიჭერ... ყოველნაირად გვერდში გეყოლები, თვით იმ შემთხვევაშიც, თუ შენ ოფიციალური გაყრის მომხრეც იქნები. ვიმოქმედოთ ისე, როგორც თავისუფალ ადამიანებს შეშვენის. შენი კოწია. აკოცე ჩემს გოგონას“.**

რაღა თქმა უნდა, ოფიციალურად არ გაყრილან, მაგრამ დასრულდა მათი ცოლ-ქმრობა და შეწყდა მიმოწერა. კონსტანტინე ბერლინს სწავლობდა, რებეკა კი საქართველოში მუშაობდა და ზრდიდა მათი სიყვარულის ნაყოფს.

...და აი, 1925 წელს კონსტანტინე ახლადგამოცემულ „დიონისეს ღიმილს“ უგზავნის რებეკას. ბიოგრაფის ცნობით, მას წაუკითხავს წიგნი და რეცენზიაც გამოუქვეყნებია. ამას კი კონსტანტინეს ბარათიც მოჰყოლია:

**„რევეკა! შენ რომ წინასწარი აზრის გარეშე ჩაიხედო ჩემ სულში, შეცოდება არ მინდა ვინმეში აღვძრა, მაგრამ ვიცი შენი კეთილშობილი სულის ამბავი, თანაგრძნობას იგრძნობ. რადგან მე დიდი სატანჯველი გამიჩინა ბედმა და ღმერთმა. მთელი ჩემი იდეალები დაინგრა. კერძო ცხოვრება და სიხარული მე აღარ შემრჩა. სრულიად უვარგისი გავხდი ამ ცხოვრებისათვის. გაძლევ პატიოსან სიტყვას: ისე მოვწყდი ამ ცხოვრებას, რომ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ეს ერთად ერთი წერილია (პირადი), რომლის საწერად დავჯექი. აღარ შემიძლია არც მიწერ-მოწერა, არც სისტემატიური საქმიანობა“.** და ჩამოთვლის უამრავ გასაჭირს, რაც ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევს. შემდეგ კი: **„მადლობელი ვარ გულწრფელი რეცენზიისთვის. მართალი გითხრა, ამ წიგნის შემდეგ თუ მოვკვდები, არ მენაღვლება. თუ გავუძელი შრომას, ახლა გერმანულად ვთარგმნი, ერთი-ორი გამომცემელი დაინტერესებულია ამ წიგნით ბერლინში და ციურიხში, ნიმუშები გაგზავნილი მაქვს. თუ გერმანულად გამოიცა, ვიცი რეზონანსი ექნება, რადგან იგი გულის სისხლითა მაქვს დაწერილი... თვით ჩემი მტრები ყანწელები აღიარებენ, რომ ეს წიგნი ქაოსში შეჭრაა. პრესაში მაგინებენ, მინდა ტრილოგიად ვაქციო სავარსამიძის ეპოპეა. მაგრამ პირობები? 9 თვე მშიერმწყურვალი ვწერდი დღე და ღამე. ახლა ისე გამოფიტული ვარ, რომ არ მიჭირდეს, კიდევ 6 თვე მომინდება უქმად ყოფნა. ძილი აღარა მაქვს. თვალები მტკივა, ნერვები აღარ მივარგა.**

**არ მინდოდა ამდენი შემეჩივლა შენთვის, მაგრამ ძველი ტრადიცია... ნათელიკოს წერილი მივიღე. გაკოცებ.**

**თქვენი კ. გამსახურდია“.**

* * *

ეს უკანასკნელი წერილი 1925 წლის 21 სექტემბერსაა დაწერილი, მაგრამ, რა ვიცით, ეგების არცაა უკანასკნელი! ასეა თუ ისე, იმ უამრავი ბარათიდან, რომელთა მოხმობაც ერთ საგაზეთო წერილში ყოვლად შეუძლებელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ კიდევ ჰქონდათ შანსი ერთად ყოფნისა, მაგრამ ორმა ინტელექტუალმა ისიც კარგად იცოდა, რომ განმეორება არაფრის შეიძლება – მით უფრო, იმ უმშვენიერესი და ამაღლებული გრძნობისა, რაც ერთმანეთთან აკავშირებდათ – კერპი რომ არ დაგემსხვრეს, უნდა გაეცალო მას.

რებეკა ვაშაძე 1933 წელს გარდაიცვალა მძიმე ოპერაციის შემდეგ. ამბობენ, რომ ჯანმრთელობის გართულება ძლიერ ემოციას მოჰყვა – სწორედ იმ დღეს დაბრუნებულა გერმანიიდან მისი 15 წლის წინათ წასული ძმა – მამაჩემი, სიმონ ვაშაძე.

დიახ, ძლიერ სიხარულსაც შეიძლება მოჰყვეს ტრაგიკული დასასრული...

როცა ეს საზარელი ამბავი შეუტყვია, თავზარდაცემული კონსტანტინე მაშინვე რებეკას მამიდაშვილთან – უშანგი ჩხეიძესთან მისულა და მთელი ღამე ცრემლის ღვრაში გაუტარებია. მეორე დღეს დიდი მსახიობი ჭიათურას ჩასულა, კონსტანტინე კი თბილისს დარჩენილა. ალბათ, ასე სცნეს საჭიროდ...

...იქნებ ამ ტკივილიანი ისტორიის დავიწყება უნდოდა მწერალს და ამიტომაც აღარასოდეს უხსენებია თავისი პირველი სიყვარული, რომლის მეტსახელიც პენელოპე, ცხოვრების მიმწუხრს, იმ სევდიან საღამოს, უნებლიეთ წამოსცდა ზმანებაში წასულ მოხუცს...

**თიურა ვაშაძე-ბიბილური.**

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 110.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160, გაგარინის ქ. 29ა **აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს შემდეგი ოთხი სახიდე გადასასვლელების გამოცდაზე:**

ა) ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის 55-ე კმ-ზე მდინარე ჭერმისხევზე მდებარე ხიდის გამოცდა – ლოტი-1;

ბ) თიანეთი-ახმეტა-ფშაველი-ნინიგორის საავტომობილო გზის 120-ე კმ-ზე მდინარე კაბალაზე მდებარე ხიდის გამოცდა – ლოტი-2;

გ) მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 136-ე კმ-ზე მდინარე ქისტურაზე მდებარე ხიდის გამოცდა – ლოტი-3;

დ) თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 277-ე კმ-ზე მდინარე ნოღელაზე მდებარე ხიდის გამოცდა – ლოტი-4.

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ყოველ ცალ-ცალკე ლოტზე სახიდე გადასასვლელების გამოცდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც ასახული იქნება თავიანთი ზოგადი მოსაზრებები დასახული მიზნის რეალიზაციისთვის და მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი, ღირებულების გარეშე, დალუქული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ 31.05.04-დან 01.06.04-ის 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, მე-13 სართული, საკონკურსო სამმართველოს შესყიდვების განყოფილება. კომისია პირველ ეტაპზე განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს, რის საფუძველზეც განისაზღვრება პრეტენდენტები, ხოლო შემდეგ მოხდება შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ბ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

– მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით); რეგისტრაციის ადგილი; მოღვაწეობის ძირითადი ადგილი; წესდება. სატენდერო წინადადების ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ).

– უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გაწეული საერთო მოცულობა ლარებში:

1999 წ.
2000 წ.
2001 წ.
2002 წ.
2003 წ.

– უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე გაწეული ანალოგიური მომსახურება:

| № | მომსახურეობის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| . | | | |
| . | | | |

უპირატესობა მიენიჭება იმ მონაწილეს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილება.

– მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარები:

| № | მოწყობილობა-დანადგარების სახე | რაოდენობა | მდგომარეობა (ახლალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებული |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| . | | | | |
| . | | | | |

მონაწილეს უნდა გააჩნდეს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის საჭირო საკუთარი ან იჯარით აღებული მანქანა-მექანიზმები.

– ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| თანამდებობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პერსონალის საერთო გამოცდილება არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები, ხოლო ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება კი – 5 წელზე ნაკლები.

– სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში მის მიერ გასაწევი მომსახურება:

| გასაწევი მომსახურეობის სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება |
|---|---|---|
| | | |

– მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადები დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის ვადის დასრულების შემდეგ და დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, სართული 13, საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, ზია ღიასამიძე.**

## byajhvfwbf cf[tkvobaj itc.bldt,bc itcf[t,

**„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" მიხედვით საავტომობილო გზების დეპარტამენის მიერ 2004 წლის თებერვალ-მარტში ჩატარდა 3 ღია ტენდერი.**

**ჩატარებულ ტენდერებში გამარჯვება მოიპოვეს:**

**ა) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 08.02.04-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა 2004 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებისთვის საჭირო ბენზინის, დიზელის და დეპარტამენტის საოფისე შენობის გათბობისათვის საჭირო სადუმელე საწვავის შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „იბერკომპანი-ჰოლდინგი".**

**ბ) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 22.02.04-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა 18 ზონად დაყოფილი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულები გამოვლინდნენ 7 ზონაში. დანარჩენ ზონებში ტენდერი დამთავრდა უარყოფითი შედეგით.**

**ტენდერში გამარჯვება მოიპოვეს შესაბამისად:**

| ზონები № | გამარჯვებული იურიდიული პირები |
|---|---|
| 2 | შპს "გაერთიანება –97" |
| 3 | სს "კავკასავტომაგისტრალი" |
| 5 | შპს "ცეკური" |
| 8 | შპს "იბოლია" |
| 10 | შპს "ავტოგზა-2000" |
| 14 | შპს "ჯ და ჯ" |
| 18 | შპს "ოზურგეთის საგზაო სამმართველო |

**გ) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 18.03.04-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძეს ს/გზის მე-300 კმ-ზე 700 მ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა სს „არქეოპოლისი".**

## განცხადება

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო აცხადებს კონკურსს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს. უნდა ჰქონდეს უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი, სამეცნიერო გამოკვლევები.

საბუთების მიღების ვადა ერთი თვეა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ რექტორის არჩევნების საორგანიზაციო კომისიას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს: კადრების აღრიცხვის ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო წოდების მინიჭების დამადასტურებელი დიპლომების ასლები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, დამოწმებული დადგენილი წესით, წარდგინება-რეკომენდაცია, რექტორის მომავალი მუშაობის პროგრამა.

სამეცნიერო საბჭო.

ქ. გორი, ჭავჭავაძის 53. ტელ.: (8270) 7-29-97.

**ქირავდება** საოფისედ ან იყიდება სარემონტო, საერთო ფართობი 200 კვ/მეტრი ვაკეში, ატენის ქუჩა №3. პირველი სართული, ბელეტაჟი. ტელეფონი 23-03-12, გიგი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ორშაბათი
### 17 მაისი

---

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** სერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" (უ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**სოლედადი**" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.15** სერიალი "**რვაფეხა**" **17.00** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **17.30** "მუს. არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "**ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები**" **18.45** დოკ. სერიალი "მოდი ვიცეკვოთ" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00** მოამბე **21.00** სერიალი "**სოლედადი**" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **23.00** მოამბე **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-**20** საუკუნე" **1**-ლი ს. **00.20** მხ. ფილმი "**მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში**" (**12**)

---

**19.00** მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "**ეშმაკუნა**" (**უ**) **21.00** "მაიმუნის ნიშნის ქვეშ" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "**მადამ ბოვარი**" **1**-ლი ს. (**15**)

---

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "**შურისძიება**" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** **ბუნდეს ლიგა** **16.20** სერიალი "**მაშველები**" **17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "**შურისძიება**" **22.00** სერიალი "**უკვდავი**" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "**კოდი ომეგა**". მთ. რ-ში: კასპერ ვან დიენი, მაიკლ აირონსიდი. (**15**)

---

**08.00** მხ. ფილმი "**მილუ მაისში**" (**15**) **10.00** კონცერტი **11.00** დოკ. ფილმი **11.30** მხ. ფილმი "**მოსწავლე**" (**15**) **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.40** ახალი ამბები **15.20** კონცერტი **18.00** მულტფილმი **20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "**ხაბაზები**" **22.45** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "**წილი**" (**15**)

---

**07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.10, 16.50, 17.20, 02.10** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.00** დროება **11.20** ანიმ. ფილიმ "ადაჟიო" **11.30** სპ. პროგრამა "ასი" **12.10** სერიალი "**კლონი**" **13.15** "ბ.პ." ჩვენი პარტნიორი **13.25, 01.40** **ტვ**-მარკეტი **14.05** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" **15.15** მხ. ფილმი "**ღმერთი დუმს**" (უ) **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **17.00, 18.50, 19.50, 21.25, 22.00, 01.20** ქრონიკა **18.00** **ფეხბურთი**. "დინამო" (თბილისი) - "ვიტ-ჯორჯია" **20.30** სერიალი "**კლონი**" **21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** სპორტ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი "**დანაკლისი**" (ჯ. აირონსი) (**18**)

---

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "**ველური მთვარე**" **11.10, 20.50** მინისერიალი "**მოტაცებული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "**პოლიციელთა ამბები**" **13.10** მხ. ფილმი "**ძაღლური სამუშაო**" (უ) **15.10** სერიალი "**მარია ემილია**" **16.10** სერიალი "**მეათე სამეფო**" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "**ველური მთვარე**" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "**უფლისწული ველიენტი**" (უ)

---

**12.00** ინდური მხ. ფილმი "**ღალატი**" **15.00** მხ. ფილმი **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

---

